

# ახალი ბენათლები

2 - 8 თებერვალი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№3 (757) ბაქოლის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



## ხანდახან სულ კატარა საბაბი ხდება ჩვენი ბალანსვეტილების მიზეზი

რუბრიკის „ქართული სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია ჰურიე აბაშიძე, ჰაჯატიავის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული


გვერდი 6

ნიგნის თარი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

### პროფესიული უნარები

ღამთარა სახანძრანო განათვნიცა  
უჩანა სანის მასწავლებლისთვის



**პროფესიული უნარების სახელმძღვანელო** დაგეგმარებათ და მოუკიდებლად მოეგზადოთ პედაგოგიური უნარების გამოცდისთვის. მასალა წარმოდგენილია კითხვა-პასუხის სახით, მდიდარია კონკრეტული მაგალითებით და შეიცავს ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს პასუხებით.

**თემატიკა:** გაკვეთილის დაგეგმვა, სწავლების მეთოდები, კლასის მართვა, შეფასება, რესურსები, კათედრაზე მუშაობის ფორმები, გამჭოლი კომპეტენციები, მოტივაცია, ინკლუზიური საკლასო გარემო და ისგ, კომუნიკაცია, სასკოლო კონფლიქტები, გაკვეთილის ტიპები, საგანმანათლებლო რესურსის ტიპები და მისი შექმნის ეტაპები, სწავლის და განვითარების თეორიები და ა.შ.

ფასი - 15 ლარი

ვილინარაოვს ხელმოწერა

### პროფესიული განვითარება სახეცვლილი სქემის დეტალები

ადრე, თუკი მასწავლებელი 60%-ს და ნაკლებს დააგროვებდა, ჩაჭრილად ითვლებოდა, ხოლო 61%-დან ბარიერი გადალახულად ეთვლებოდა და 10 კრედიტულას მოიპოვებდა. ცვლილების თანახმად, აღნიშნული ბარიერი გაუქმდა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღარ გვეყოლება გამოცდაზე ჩაჭრილი მასწავლებელი. ამის ნაცვლად, შემოვა დაგროვებითი მექანიზმი, რაც იმას გულისხმობს, რომ მასწავლებელს კრედიტულა მიენიჭება იმ პროცენტის მიხედვით, რასაც კომპეტენციის დადასტურებისას მოიპოვებს.

კრედიტულების განაწილებაზე იმუშავა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, მათ გააანალიზეს ჩატარებული გამოცდები და, საბოლოო განწყვეტილებით, კრედიტები ასე განაწილდება: ერთი კრედიტულა - 31-დან 41 პროცენტამდე, ოთხი კრედიტულა - 41-დან 51 პროცენტამდე, 51-დან 61-მდე - 7, ხოლო 61-დან ზევით - 10 კრედიტულა. კრედიტულების განაწილების ერთნაირი პრინციპი იმუშავებს ორივე გამოცდაზე. - მანანა რატიანი

გვერდი 2

### პროფესიული განათლება პრობლემები და გამონვევები

იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ პროფესიულ განათლებაში მისაღწევი შედეგები, რომლის მიღწევაც მოგვცემს სიტუაციის მკვეთრი (არამყისიერი) გაუმჯობესების საშუალებას, აუცილებელია ჯერ გავარკვიოთ, ამჟამად სად ვიმყოფებით, რა პრობლემები გვაქვს და მოვახდინოთ პრობლემების პროორიტეტიზაცია. - მარლამ ავალიშვილი

გვერდი 4





# სახეცვლილი სქემის დეტალები



მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი



მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში მთელი რიგი ცვლილებები შევიდა. პირველ რიგში, სქემა აღარ მოიცავს კარიერის შეწყვეტის ნაწილს და ერთ დადგენილებად გაერთიანებული გაცილებით იოლად აღქმადი გახდა. სახეცვლილი სქემა მასწავლებლებს მეტ შესაძლებლობას და არჩევანს აძლევს დაგეგმონ კარიერული წინსვლა და აიმაღლონ კვალიფიკაცია.

რა კონკრეტული ცვლილებები შევიდა სქემაში, რა მიმართულებებზე გაკეთდა აქცენტები, როგორ იმუშავებს კრედიტულების დაბრუნების ახალი მექანიზმი და რის საფუძველზე გახდა მრავალფეროვანი – ამის შესახებ გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე მანანა რატიანი

**– საბოლოო ვერსიის შემდეგ სქემაში ბევრი ცვლილება შევიდა, რამ გააჩინა ეს სქემა?**

– ძალიან მოკლედ შევაჯამებ, რა გაკეთდა აქამდე – ამ წლიდან დაიწყო განმარტების, მას შემდეგ, რაც სქემა ყველა სკოლაში შევიდა და სავალდებულო გახდა, სკოლებს მივანოდეთ სრული ინფორმაცია და შევეცადეთ, 9 წესად და ერთ დადგენილებად განვიხილოთ დოკუმენტები მათთვის გასაგები გაგვეხადა. დაიწერა ორი გზამკვლევი, ჩავატარეთ საინფორმაციო შეხვედრები შეფასების ჯგუფებისათვის – ტრენინგები და კონსულტაციები სხვადასხვა მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს ყველაფერი ეთნიკური უმცირესობების ენებზე ითარგმნა, მათთვისაც ითარგმნა ყველა დოკუმენტი და მომზადდა როგორც საინფორმაციო შეხვედრები, ისე ტრენინგები; კრიტერიუმები, რომლებიც დამტკიცდა, ალბათ, სქემის დანერგვის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მსხვილი ნაწილი იყო, ისინი მასწავლებლებს აძლევდნენ ორიენტირს, თუ რა მოეთხოვებოდათ. იმის გამო, რომ პირველი წელი საბოლოოდ იყო, უნდა გამოგვეცადა, როგორ მუშაობდა სქემა, პროცედურები და კრიტერიუმები. მასწავლებლებს განწყობა რომ გავგვედო, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, ჩატარდა კვლევა, რამაც საშუალება მოგვცა, გავგეგმილიყავით განვლილი წელი და გვეფიქრა, რა ცვლილებები შეგვეტანა სქემაში. საკმაოდ შრომატევადი აღმოჩნდა შემაჯამებელი პროცესი. კვლევა პრეზენტაციული იყო, 180 სკოლა იქნა შერჩეული, ჩატარდა 11 ფოკუს-ჯგუფი, ექსპერტებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუები. მივიღეთ დიდი მასალა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემების თვალსაზრისით. ამის გარდა, გაანალიზდა საინფორმაციო შეხვედრებიდან თუ ტრენინგებიდან, ტრენინგების, ასევე ფასილიტატორებისა და შეფასების ჯგუფის წევრების მხრიდან მიღებული უკუკავშირი. მოგეხსენებათ, რომ მხოლოდ ჩვენი ცენტრი არ არის სქემის განმარტებელი, პროცესში ჩართულები არიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მისი უწყებები და სსიპ-ები. მათაც რეგულარული შეხვედრები აქვთ სკოლებთან, გარკვეული ინფორმაცია აქედანაც მივიღეთ. ყველაფერი ეს რომ შეჯამდა, მომზადდა ცვლილებების პროექტი, რომელიც სახელმწიფო კომისიამ განიხილა, 24 იანვარს კი მთავრობამ მიიღო და, შესაბამისად, ძალაში შევიდა ცვლილებები.

**– რა არის ის ძირითადი ცვლილებები და მიმართულებები, რამაც სქემა მასწავლებლებისთვის ბევრად უფრო მიმზიდველი გახადა?**

– ცვლილებები მრავალფეროვანია და არაერთ მიმართულებას შეეხება. მასწავლებლები, სქემასთან დაკავშირებით, რამდენიმე პრობლემას უსვამდნენ განსაკუთრებით ხაზს, პირველ რიგში იმას, რომ, გარკვეულწილად, შეზღუდული იყო აქტივობების რაოდენობა, რომლებსაც ისინი სკოლებში, სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეებთან ერთად ახორციელებდნენ, მაგრამ ამ აქტივობებში კრედიტულები არ ენიჭებოდათ, რასაც უსამართლოდ მიიჩნევდნენ. ამ კუთხით ვიმუშავებთ და არაერთი აქტივობა ავსახეთ სქემაში სხვადასხვა მიმართულებით. ეს მიმართულებები, ძირითადად, დაყოფილია ოთხ ნაწილად: მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული, სასწავლო-საგაკვეთილო პროცესის გაუმჯობესებაზე, მასწავლებლების მხრიდან ყველაზე მოთხოვნადი, კლასგარეშე აქტივობებისკენ მიმართული ცვლილება, რადგანაც წრეებსა და კლუბებში საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის გამოცდილება და მიმდინარე პრაქტიკა აქვთ (საერთოდ, სკოლა არ უნდა იყოს მხოლოდ გაკვეთილიდან გაკვეთილამდე პროცესი, სასკოლო ცხოვრება ბევრად უფრო მრავალფეროვან შესაძლებლობებს უნდა სთავაზობდეს მოსწავლეებს, რომლებიც ისინი ინტერესის მიხედვით უნდა ჩაერთონ), ამიტომაც, ეს ნაწილიც აისახა და მეოთხე მიმართულებაა მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა, რომელიც ერთ-ერთი მხარდაჭერი მექანიზმია სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარებისთვის.

რადგან შესაძლოა, გარედან ყოველთვის დროულად ვერ აღმოუჩინონ დახმარება მასწავლებლებს, ამიტომაც სკოლაში უნდა იყოს კოლეგის მხარდაჭერის შესაძლებლობა. სწორედ ამ მიზნით, სქემაში წარმოდგინდა ეს ოთხი მიმართულება. გარდა ამისა, სქემის ერთ-ერთი ნაკლი ის იყო, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან მომუშავე პედაგოგები თავიანთ თავს სქემაში ვერ ხედავდნენ. ასევე სპორტის, მუსიკის მასწავლებლებსაც ჰქონდათ გარკვეული პრობლემები იმ თვალსაზრისით, რომ სქემა არ აძლევდათ მათ თავიანთი საქმიანობის სრულად წარმოჩენის შესაძლებლობებს, არც მათი აქტივობები გადადიოდა კრედიტულებში. ახლა სქემაში შეტანილია მათი სპეციფიკური და საჭიროებებიდან გამომდინარე ისეთი აქტივობები, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ დააგროვონ კრედიტულები და დაინაწილონ კიდევაც. შემოვიტანეთ, ასევე, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ინიციატივა – არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებს ქართული ენის შესწავლისას, ყოველ დონეზე, გარკვეული კრედიტულა მიენიჭებათ. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების საზოგადოებაში სრულფასოვნად ინტეგრირება სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, თავად მასწავლებლებს უნდა იყოს პროცესებში აქტიურად ჩართული. სახელმწიფო ენის არცოდნა, ხშირ შემთხვევაში, სერიოზული ბარიერია. სახელმწიფო ენის შესწავლის სტიმულირება საშუალებას მისცემს მათ, თავისუფლად ჩაერთონ ნებისმიერ შეთავაზებაში, რაც მასწავლებლებისთვის გვაქვს შეთავაზებული. ეს ცვლილება კი ერთგვარი ნახალისება იქნება მასწავლებლებისთვის, რომ მომავალში აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ეს არის აქტივობების ის მიმართულებები, რომლებიც დაემატა მასწავლებლებს. კიდევ ერთი საინტერესო ინიციატივა, რომელიც უშუალოდ მინისტრისგან წამოვიდა, აქტივობის თავისუფალი კომპონენტია, რასაც განახორციელებს მასწავლებელი, თუმცა ის არ შედის ჩამონათვალში. ამ შემთხვევაში, შეფასების ჯგუფმა თავად უნდა შეიმუშაოს პედაგოგის შეფასების კრიტერიუმები.

**– ეს რაც შეეხება აქტივობებს, მაგრამ სიახლეებია სხვა გარე მექანიზმების მიმართულებითაც...**

– მოგეხსენებათ, რომ პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის სავალდებულო იყო საგნის გამოცდის ჩაბარება. თვითონ ტერმინთან დაკავშირებით იყო ვნებათაღელვა და მსჯელობა. საბოლოო ჯამში, მასწავლებლის საქმიანობის შეფასება ორი მიმართულებით მოხდება – საგნობრივი და პროფესიული, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლებს, საგნობრივი კომპეტენციების დადასტურების გარდა, პროფესიული კომპეტენციების დადასტურებაც მოუწევთ. მასწავლებლებს შეაფასებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ნელს, იქიდან გამომდინარე, რომ სქემაში ცვლილებებზე მიმდინარეობდა მუშაობა, ზამთრის გამოცდა არ ჩატარდა, ზაფხულისთვის კი დაიგეგმა ორივე გამოცდის ჩატარება, მომავალში, ვნახოთ, როგორ იქნება.

**– განსაკუთრებული მონონება, მასწავლებლების მხრიდან, გამოცდაზე ბარიერის მოხსნამ გამოიწვია. როგორ იქნება კრედიტების დაგროვების მექანიზმი?**

– ადრე, თუკი მასწავლებელი 60%-ს და ნაკლებს დააგროვებდა, ჩაჭრილად ითვლებოდა, ხოლო 61%-დან ბარიერი გადალახულად ითვლებოდა და 10 კრედიტულას მოიპოვებდა. ცვლილების თანახმად, აღნიშნული ბარიერი გაუქმდა, რაც იმას ნიშნავს, რომ აღარ გვეყოლება გამოცდაზე ჩაჭრილი მასწავლებელი. ამის ნაცვლად, შემოვა დაგროვებითი მექანიზმი, რაც იმას გულისხმობს, რომ მასწავლებელს კრედიტულა მიენიჭება იმ პროცენტის მიხედვით, რასაც კომპეტენციის დადასტურებისას მოიპოვებს.

კრედიტულების განაწილებაზე იმუშავა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა, მათ გააანალიზეს ჩატარებული გამოცდები და, საბოლოო გადაწყვეტილებით, კრე-

დიტები ასე განაწილდება: ერთი კრედიტულა – 31-დან 41 პროცენტამდე, ოთხი კრედიტულა – 41-დან 51 პროცენტამდე, 51-დან 61-მდე – 7, ხოლო 61-დან ზევით – 10 კრედიტულა. კრედიტულების განაწილების ერთნაირი პრინციპი იმუშავებს ორივე გამოცდაზე. ამდენად, მასწავლებელს იმის მიხედვით მოუწევს დამატებითი აქტივობების შესრულება, თუ რამდენ ქულას მოაგროვებს გამოცდაზე. თუ ჯამურად მას 15 კრედიტულაზე ნაკლები დააგროვებდა, მაშინ მოუწევს დამატებითი აქტივობებით შეავსოს კრედიტულები (კიდევ ერთი ნიუანსი – ჯამურად პრაქტიკოს მასწავლებელს 19 კრედიტულა სჭირდება უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად, საიდანაც 4 კრედიტულა მან უნდა მოიპოვოს შიდა საგაკვეთილო დაკვირვებით, რომელსაც შეფასების ჯგუფი აკვირდება და აფასებს). პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის აქტივობებიც დაყოფილია საგნობრივი კომპეტენციებისა და პროფესიული განვითარების კომპეტენციების მიმართულებებით. პედაგოგი კრედიტულებს დააგროვებს იმ მიმართულებებში, სადაც საჭიროებები გამოიკვეთება.

**– 5-კრედიტიანი ტრენინგები ავტომატურად ჩანაცვლდა პროფესიული გამოცდით თუ ისევ რჩება კრედიტების დაგროვების ერთ-ერთ ალტერნატივად?**

– ავტომატურად არ ჩანაცვლებულა, პროფესიული გამოცდის ჩაბარება აუცილებელია, ხოლო 5-კრედიტიანი ტრენინგით პრაქტიკოს მასწავლებელს კვლავ აქვს შესაძლებლობა, მოიპოვოს დამატებითი კრედიტები, ანუ ეს რჩება კრედიტების დაგროვების კიდევ ერთ საშუალებად იმ მასწავლებლებისთვის, რომლებსაც საგნის გამოცდა წარმატებით შეუძლებელია.

**– შეეხო თუ არა ცვლილება 60-კრედიტიან პროგრამებს?**

– ამ კუთხით არანაირი ცვლილება არ იქნება, 60-კრედიტიანი კურსი ჩვეულებრივ ჩაითვლება პროფესიაში შესვლის ერთ-ერთ გზად, შესაბამისად, კურსის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში, მასწავლებლის მსურველებს, საშუალება ექნებათ, უფროსი მასწავლებლის სტატუსით შევიდნენ სკოლაში ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში. საბოლოოდ კი, საქმიანობის დაწყების ნაწილი სქემაში აღარ იქნება და დარეგულირდება სხვა დოკუმენტით, ხოლო სქემას ექნება მხოლოდ პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის კომპონენტები დასარეგულირებელი. ამის შესახებ მზადდება ცვლილებები, როგორ უნდა მოხდეს პროფესიაში შესვლა, რაც სასურველია, უფრო მრავალფეროვანი გახდეს და ეს მრავალფეროვანი გზა არ უნდა გულისხმობდეს ხარისხის დაბლა დანევას. სწორედ ამაზე მიმდინარეობს მსჯელობა – ვის უნდა მიეცეს სკოლაში მუშაობის დაწყების უფლება. ალბათ, ეს საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდება.

**– გარე და შიდა შეფასების რუბრიკები მასწავლებლებისთვის ისევ სავალდებულო დარჩა, თუმცა, როგორც ცნობილია, გარე შეფასების რუბრიკიდან ვიდუგაკვეთილები ამოღებულა. როგორ მოხდება შეფასება და ვინ შეაფასებს მასწავლებლებს?**

– შიდა შეფასებისას მასწავლებელს, ჩვეულებრივ, შიდა შეფასების ჯგუფი აფასებს, როგორც ადრე იყო განსაზღვრული. შიდა და გარე საგაკვეთილო შეფასებისათვის ერთი და იგივე კრიტერიუმები გამოიყენება, რადგან კარგი გაკვეთილი კარგ გაკვეთილად დარჩება, მიუხედავად იმისა, მას ვინმე ესწრება თუ არა. ამით მასწავლებლებსაც გაუადვილებათ საგაკვეთილო პროცესის უკეთ გააზრება და ერთნაირად იმუშავებს საკუთარ თავზე, შიდა და გარე დაკვირვებისთვის. შიდა შეფასებას, როგორც ვითხარით სკოლის შეფასების ჯგუფი ჩაატარებს, ხოლო გარე დაკვირვების წესს მინისტრი ამტკიცებს. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, რომ ვიდუგაკვეთილების ფორმატი გათვალისწინებული არაა, რადგან საკმაოდ ერთაზროვანი იყო უკუკავშირი და,



პროფესიული განვითარება

ძირითადად, ნეგატიური. ამიტომაც ვიდუდაკვირდება, ამ ეტაპზე, არ არის გათვალისწინებული. ვაკვეთილს დაესწრება გარე დამკვირვებელი და შიდა შეფასების ჯგუფის წარმომადგენელიც. რეგისტრაცია წინასწარ მოხდება. კონცეფციის შემუშავება სწორედ ახლა მიმდინარეობს, სამინისტროსთან ერთად განვიხილავთ, უახლოეს პერიოდში წესიც დამტკიცდება. გარე დამკვირვება ამ სასწავლო წლის განმავლობაში დაიწყება.

– ვინ იქნებიან გარედამკვირვებლები?

– გარე დამკვირვებლები იქნებიან შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანები, რომლებიც შეირჩებიან და გადამზადდებიან. მათ აუცილებლად ექნებათ დარგობრივი კომპეტენციები, სკოლაში მუშაობის გამოცდილება და ასევე, იქნებიან ეფექტური კომუნიკატორები, ასერტულები, რომ მათი შეფასება მაღალი ობიექტურობის ხარისხით გამოირჩეოდეს.

– მოსალოდნელია, რომ პრაქტიკოს მასწავლებელს, რომელიც საჭირო კრედიტულებს მოაგროვებს, შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად რაიმე პრობლემა შეექმნას ან მოუწიოს ლოდინი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად?

– მასწავლებლის მიერ შესრულებული მოთხოვნებისა და დაგროვებული კრედიტულების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, შეფასების ჯგუფი სტატუსის ცვლილებაზე შემუშავებს წინადადებას და, სასწავლო წლის ბოლოს, გადმოაგზავნის ცენტრში. ცენტრი, წარმოდგენილი წინადადებისა და მასწავლებლის მიერ განხორციელებული საქმიანობების განხილვის საფუძველზე, მიიღებს გადაწყვეტილებას სტატუსის მინიჭების შესახებ.

– სახეცვლილი სქემის მიხედვით, სკოლებს მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრათ, რადგან მიეცათ უფლება, გარკვეული

აქტივობების შეფასებით, მიანიჭონ მასწავლებლებს კრედიტულები. როგორ იქნება ობიექტურობის ხარისხი და როგორ გაართმევენ ამას სკოლები თავს?

– გეტყვით, რას ვგეგმავთ იმისთვის, რომ სკოლებმა ეს შეძლონ. შეფასების ჯგუფში 20 ათასამდე მასწავლებელია, ფაქტობრივად, მასწავლებლების მესამედი შეფასების ჯგუფის წევრია. მათი კომპეტენციების გაზრდა ნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი სკოლებში უკეთ ნარიმართება. ჩვენი მიზანია, არა მხოლოდ ამ მასწავლებლებს ავუმალლოთ კვალიფიკაცია, არამედ შემდეგ მათვე იზრუნონ ამ ცოდნის გავრცელებაზე სკოლებში და ამით დაეხმარონ კოლეგებს კვალიფიკაციის ამაღლებაში, რაც, მთლიანობაში შეცვლის სწავლა-სწავლების ხარისხს. ამისთვის ჩვენ ვგეგმავთ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები გამოვიყენოთ დიდი დოზით, რადგან მოგვხსენებათ, ძალიან ბევრი აქტივობაა და ყველა აქტივობაში ტრენინგის ჩატარება დროში გაიწელება. ამდენად, ჩვენ კვლავაც გვექნება დეტალური ინფორმაცია გზამკვლევის სახით, ამასთანავე, თითოეულ კრიტერიუმთან და აქტივობასთან დაკავშირებით დავერგავთ ახალ ფორმატს, ვიდუდაკვირვებლებს, ასევე მოვსინჯავთ სხვადასხვა ვებინარებს, სადაც მასწავლებლები ჩართვებიან და შეფასების ჯგუფები ონლაინკონსულტაციებს გაივლიან. გარდა ამისა, იგეგმება პირისპირ კონსულტაციები, რომელსაც ჩვენი ტრენერები ჩაატარებენ რეგიონებში. რა თქმა უნდა, შიდა და გარე დამკვირვებისთვის ჩავატარებთ პირისპირ ტრენინგებს, ეს ცოტა უფრო მსხვილი კომპონენტია და მნიშვნელოვანია ყველა სტატუსის მასწავლებლისათვის, ამას სჭირდება განსაკუთრებული მიდგომა და ვეარაუდობთ, რომ მეტი ძალისხმევა და განმარტებაც სწორედ ამ მიმართულებით დაგვჭირდება. დანარჩენ აქტივობებზე კი, ვიდუდაკვირვებლები, კონსულტირება, ვებინარები, ვფიქრობთ, ეფექტური იქნება, რადგან შესაძლოა ტრენინგის შემდეგ გარკვეული

დრო გავიდეს და მასწავლებელს რაღაც მივიწყდეს. მაგალითად, ტრენინგი საკლუბო მუშაობის შესახებ თუ ჩატარდა თებერვალში და შეფასება ივნისში უნდა მოხდეს, ამ პერიოდში ტრენინგზე მიღებული ცოდნა მივიწყებას შეიძლება მიეცეს. ვიდუდაკვირვებლებმა მათ საუშალებას მისცემს, გაიხსენონ ყველაფერი უშუალოდ შეფასების დადგომისას. ჩვენ მხარდაჭერას გაუწევთ სკოლებს, შეფასების ჯგუფებს და ვფიქრობ, ეს ცოდნა, საბოლოო ჯამში, წაადგება სკოლების გაძლიერებას. რაც შეეხება ობიექტურობას, ეს, პირველ რიგში, სკოლების ინტერესშია და, რა თქმა უნდა, ჩვენც გვაქვს მონიტორინგი, რომლითაც შერჩევითად ვაკვირდებით შეფასების ჯგუფების მუშაობას.

– საერთო ჯამში, სახეცვლილმა დოკუმენტმა გაუიოლა მასწავლებლებს საქმე?

– პირველ რიგში, გაამრავალფეროვნა. ჩვენი მიზანია, სასწავლო პროცესში წარმოვანოთ ის, რაც პრიორიტეტულია და მასწავლებელს მიეცეთ სწორი ორიენტირი მათდამი მოლოდინების შესახებ, რა მოთხოვნებს უყენებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას. მიგვაჩნია, რომ ეს ორიენტირები სქემაში შეტანილი ცვლილებებით ვაჩვენებთ. ასევე უნდა ითქვას, რომ გზები, საშუალებები, შესაძლებლობები, დაგეგმვა მასწავლებლისათვის უფრო მოქნილი გახვადეთ.

საბოლოო ჯამში, ცვლილებებით გამარტივდა დოკუმენტის აღქმა, რომელიც საკმაოდ რთული იყო, ინფორმაცია სხვადასხვა ნესებში უნდა გვეძებნა. ახლა მხოლოდ 68-ე დადგენილების ნაკითხვის შემდგომ სრულფასოვანი წარმოდგენა გექმნება მასწავლებლებისადმი წაყენებულ მოთხოვნებზე.

ესაუბრა  
ლალი ჯეჯეძე

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„ტრადიციული თამაშობები“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან, გახდა „ახალი განათლება“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს უფროსკლასელთათვის თამაზი „ტრადიციული თამაშობები ჩემს სოფელში“.

კონკურსის მიზანია:

- გამოავლინოს და დააფიქსიროს უზუცესების მეხსიერებაში დღემდე შემონახული საქართველოს სხვადასხვა კუთხის უძველესი თამაშობები (როგორც ჯგუფური, ისე სამაგიდო);
- გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
- დაეხმაროს ახალგაზრდა თაობას არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებისა და ფიქსაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;
- ხელი შეუწყოს ძველი ქართული თამაშობების აღდგენა-პოპულარიზაციას.

კონკურსი მოენწყობა ორ ტურად:

პირველი ტური

გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით, იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე [aramaterialuri@yahoo.com](mailto:aramaterialuri@yahoo.com) (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება. საინტერესო, იშვიათი თამაშობის წარმდგენი გადავლენ მეორე ტურში.

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორებისა და ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან.

ნიმუშის წარდგენის ფორმა

თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

1. ვორდის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;
2. მოსწავლეების მიერ აღწერილი თამაშობის მიხედვით გადაღებულ მაღალი რეზოლუციის ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის) და თამაშის/ან მისი ფრაგმენტების/ ამსახველ ვიდეორჩანანერს. ფოტოები უნდა გადმოგზავნოს, ვორდის ფაილში შესარულებულ ნაწილთან ერთად, jpg ფორმატში;
3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას, გადმოგზავნილს ასევე jpg ფორმატით;
4. შეძლებისდაგვარად, თამაშობის ამსახველ ვიდეორჩანანერს (შესაძლებელია გადაღებულ იქნეს მობილური ტელეფონით).  
*სასურველია*, ნიმუში ჩაინეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.  
*სასურველია*, მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოგზავნოს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე [aramaterialuri@yahoo.com](mailto:aramaterialuri@yahoo.com);
- ან გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში;
- ან მოგვანოდოს ფოსტით „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ მისამართზე (თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5).

ვორდის ფაილი უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ჩანაწერებს:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *თამაშის დასახელება*;
2. ავტორი – *მოსწავლე/ებს/ის სახელი, გვარი*;
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი)*;
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი)*;
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (*რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მითითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი*);
7. ნიმუშის აღწერა  
აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:
  - რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული თამაში – *მოკლე განმარტება თამაშის შესახებ*;
  - სახელწოდება (*აგრეთვე, მითითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება*);
  - ნიმუშის ჩანერის აღწერილობა – *სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩანერილი ეს ნიმუში, მიუღია თუ არა მონაწილეობა მთხრობელს აღნიშნულ თამაშში და ვისგან აქვს ნასწავლი თავად ეს თამაში*;
  - ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში, რამდენი მონაწილე თამაშობდა მას;
  - აღწერეთ გარემოება, როდესაც თამაშობენ ამ კონკრეტულ ნიმუშს;
  - რას უკავშირდებოდა აღნიშნული თამაშობა;
  - რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს თამაშის პროცესს (*ასეთის არსებობის შემთხვევაში, დააფიქსირეთ ფოტოზე*);
  - სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული თამაშის დროს;
  - რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული თამაშის მნიშვნელობა (*უნიკალობა ან ორიგინალობა*) პირადად თქვენთვის (*რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...*), საზოგადოებისთვის.
  - *აღწერეთ თამაშის პროცესი*  
სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე – ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა, საჭიროების მიხედვით.

ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

გადმოგზავნის ვადაა 2016 წლის 20 მარტი

გვიკონტაქტით: საგზაო დედაბაზი

599 08 40 03; 56 577 27 80 02

[aramaterialuri@yahoo.com](mailto:aramaterialuri@yahoo.com)

მაკა თაქთაქიშვილი, კომტა ნაცვლიშვილი

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. მოწოდებული ვიდეორჩანაწერის მიხედვით დამონტაჟდება ვიდეორგოლი. ნაშრომები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი განათლების“ ფურცლებზე, გაზეთშიც მიიღიან საშუალებით.

კონკურსის ყველა მონაწილეს მიენიჭება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დამცველის“ წოდება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება



პროფესიული განათლება

პრობლემები და გამოწვევები

„დღეს იგი იმარჯვებს, ვისაც ხელთ უპყრია ის უძლეველი იარაღი, რომელსაც ცოდნას ეძახიან.“

ილია ჭავჭავაძე

პროფესიული განათლება არის უმოკლესი გზა დასაქმებისა და განათლების ამ სეგმენტის განვითარება ერთგვარი ლაკმუსის ქალაქი ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების გასაანალიზებლად. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლება ყველაზე კარგადაა განვითარებული მონივრე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

საქართველოში პროფესიულ განათლებაზე საუბრისას აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ 90-იანი წლების ნგრევის შემდეგ განათლების ამ სეგმენტის შენება თითქმის ნულიდან დაიწყო. დღემდე ამ სფეროს განვითარებისათვის სახელმწიფოს მხრიდან ბევრი რამ გაკეთდა: დარგის რეგულაციის მიზნით განხორციელდა ცვლილებები საკანონმდებლო დონეზე, დასრულდა და მიმდინარეობს საჯარო პროფესიული სასწავლებლების შენობების რეაბილიტაცია-ადაპტაციის სამუშაოები, დამსაქმებლების უშუალო ჩართულობით შემუშავდა ახალი პროფესიული სტანდარტები და პროგრამები, ერთიანი სტანდარტის შესაბამისად მიმდინარეობს საჯარო კოლეჯების ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის განახლება, ინკლუზიური განათლების დანერგვა და სხვ. თუმცა, 2016 წლამდე განუყოფელი საქმიანობისა და დახარჯული რესურსების მიუხედავად, განათლების ეს სეგმენტი მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს იმ გამოწვევებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას, რასაც ითხოვს ქვეყანა, პროფესიული განათლების მომხმარებელი, შრომის ბაზარი და საზოგადოება. ამის ერთ-ერთი ძირითადი სუბიექტური მიზეზი კი ის არის, რომ რეფორმები, რომლებიც ჩატარდა პროფესიული განათლების სფეროში, რაც შემთხვევაში, იყო არათანმიმდევრული, არა-სიღრმისეული და იმპულსური. გათვლები კეთდებოდა არა საბოლოო შედეგზე, რომლისთვისაც უნდა მიგვეწინააგრძელებინათ პერსპექტივაში, არამედ პროცესის წარმართვაზე. რეფორმებს აკლდა სისტემური მიდგომა; პროფესიული განათლება განიხილებოდა ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის, ასევე განათლების ყველა საფეხურის ერთიანი ხედვისა და კონცეფციისაგან განწყენებულად.

პროფესიული განათლების დღევანდელი მდგომარეობის უკეთ გაანალიზების მიზნით ამ სეგმენტში დღემდე ჩატარებული სამუშაოები შეიძლება შევადაროთ ბალახის სათიბად გასულ კაცს, რომელმაც ცელის სწორად გამოყენება არ იცის, იქნევს არასწორად, იღლება, მაგრამ ბალახს ვერ თიბავს.

იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ პროფესიულ განათლებაში მისაღწევი შედეგები, რომლის მიღწევაც მოგვცემს სიტუაციის მკვეთრი (არამყისიერი) გაუმჯობესების საშუალებას, აუცილებელია ჯერ გაგვარკვიოთ, ამჟამად სად ვიმყოფებით, რა პრობლემები გვაქვს და მოვხდინოთ პრობლემების პრიორიტეტიზაცია.

დავიწყოთ პროფესიული განათლების პრობლემები და გამოწვევები.

პროფესიული განათლების პრობლემები და გამოწვევები დღეს:

1. პროფესიული განათლების საჭიროებების განსაზღვრისთვის არ ვიცით ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, არ არის ჩატარებული შრომის ბაზრის, ასევე პროფესიული განათლების სხვა მომხმარებლების მოლოდინების, მოთხოვნებისა და საჭიროებების საფუძვლიანი კვლევა. არ არის შესწავლილი და მეცნიერულად გაანალიზებული სახელმწიფოს სტრატეგიული მიმართულებები და შრომის ბაზრის ტენდენციები. ამდენად, დღემდე არ ვიცით, რა სპეციალობები და რა რაოდენობის კურსდამთავრებულების მოთხოვნა იქნება მომავალში, ასევე არ ვიცით, რაზე ავიღოთ ორიენტაცია აწმყოში.
2. არ არსებობს შედეგზე ორიენტირებული განათლების სისტემის ყველა საფეხურის (დანეკლებული სკოლამდელი და დამთავრებული მეცნიერებით) განვითარების ერთიანი კონცეფცია და, აქედან გამომდინარე, პროფესიული განათლების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია.
3. დარგი განიცდის კვალიფიციური, პასუხისმგებელიანი, მოტივირებული მასწავლებლების ნაკლებობას, რისი მიზეზიც არის: ა) პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურების დაუზღვევადი სისტემა. კერძოდ, ისინი ვერ სარგებლობენ ანაზღაურებადი შევებულებით; ბ) მიღებულ შორის სწავლის რამდენიმეთიანი წყვეტის გამო რჩებიან დროებით უშუქვრები; გ) მათი შრომის საათობრივი ანაზღაურება თითქმის არ ტოვებს შანსს, რომ კოლეჯებში მასწავლებლად მოწვეულები იყვნენ დარგის ყველაზე წარმატებული სპეციალისტები და დარგი დარჩენილია მხოლოდ პიროვნული ენთუზიაზმის იმედზე.
4. არ არსებობს პროფესიული განათლების მასწავლებლების, მათ შორის სანარმოო პრაქტიკის მასწავლებლების, როგორც მომზადების, ასევე (სანარმოებში თუ სხვაგან) შემდგომი გადამზადებისა და კვალიფიკაციის განმსაზღვრელი ერთიანი სისტემა.
5. არ არსებობს პროფესიულ განათლებაში სასწავლო პროცესისა და ხარისხის შეფასების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან დამოუკიდებელი გარე მონიტორინგის განხორციელების მექანიზმი და განმარტებული ორგანიზაცია. ამგვარი ორგანიზაციის მიერ განუთლი მონიტორინგი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს განათლების ხარისხის მდგრად განვითარებას და ხარისხის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან დაახლოებას, რადგან მათ მი-

ერ სასწავლო დანესებულებების საქმიანობის (სწავლების ხარისხი, მეთოდიკა და ა.შ.) შეფასება მოხდება მაქსიმალურად ობიექტურად, მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ.

6. ქართულ ენაზე გამოშვებული საჭირო რაოდენობისა და თემატიკის თანამადროვე სასწავლო სახელმძღვანელოებისა და მეთოდური ლიტერატურის ან/და ინტერნეტრესურსის არარსებობა ხელს უშლის სრულყოფილი და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებას.

7. პროფესიული განათლება დღეს საგანმანათლებლო ჩიხშია. საბაზო განათლების მქონე პირი, პროფესიული სწავლების დასრულების შემდეგ, ვერ ახერხებს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას, ვინაიდან მას არ აქვს საშუალო განათლების ატესტატი. ეს კი ხელს ნამდვილად არ უწყობს პროფესიული განათლების პოპულარობას. ჩიხიდან გამოსვლის მიზნით საჭიროა საბაზო და საშუალო განათლების მქონე პირებისათვის სხვადასხვა ხანგრძლივობის პროფესიული პროგრამების შემუშავება და დამტკიცება, ასევე, საბაზო განათლების მქონე სტუდენტებისათვის პროფესიულ სასწავლებლებში ზოგადი განათლების საგნების სწავლების შემოღება, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა ამ ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლას, მეორე მხრივ კი, ვინაიდან ამ კატეგორიის სტუდენტისათვის გაიზრდებოდა სწავლის ხანგრძლივობა, მივიღებთ სრულყოფილ კურსდამთავრებულებს, რაც, ხშირ შემთხვევაში, დამსაქმებლის ერთ-ერთი მოთხოვნაა.

8. არასრულწლოვანი პროფორიენტაცია (რომელიც უნდა იწყებოდეს სასკოლო პერიოდში, მაღალ კლასებში და გრძელდებოდეს პროფესიულ საგანმანათლებლო დანესებულებებში) და ამის გამო:

ა) კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადებაზე დახარჯული სახსრების ნაკლებფექტიანობა. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი. თუ ჩვენ დავთვლით, ქვეყნის მასშტაბით რა სახსრები დაიხარჯა ერთი რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამის, მაგალითად „დურგლის“ სტუდენტების მომზადებაზე და ვნახავთ, მომზადებულებიდან რამდენი პროცენტია ამ სპეციალობით დასაქმებული, დავადგენთ, რომ ერთი კვალიფიციური დურგლის მომზადება, რომელმაც მოახერხა თავისი კვალიფიკაციის დასაქმებაში გამოყენება, სახელმწიფოს ბევრად ძვირი დაუჯდა, ვიდრე ამას, პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, ბიუჯეტი ითვალისწინებს ერთი სტუდენტის მომზადებაზე.

ბ) სტუდენტთა გადინების მაღალი მაჩვენებელი, რაც პროფესიული განათლების განვითარებაზე გამოყოფილი სახსრების ნაკლებად ფექტიანი ხარჯვის მიზეზია.

გ) პროფესიული განათლების მომსახურების ბევრი პოტენციური მომხმარებელი ვერ იღებს საჭირო, დროულ ინფორმაციას პროფესიულ განათლებასთან და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირებით. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი დისბალანსისა, რომელიც ჩნდება დასაქმების ბაზრის მოთხოვნასა და მომზადებული სპეციალისტების რაოდენობას შორის.

9. პრიორიტეტული და მოთხოვნილი პროფესიების ნუსხის არარსებობა. ამგვარი ნუსხის შემუშავება სახელმწიფოს საშუალებას მისცემდა, განესაზღვრა სხვადასხვა პროფესიებზე დაფინანსების ოდენობა, შედეგად სწორად და ფექტიანად დაეხმარა სახელმწიფო სახსრები, გამოთავისუფლებული თანხები კი პროფესიული განათლების მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებისაკენ მიემართა. მას შემდეგ, რაც გაუქმდა პროფესიების პრიორიტეტულად დაყოფა, მოიმატა იმ პროგრამებზე სწავლის მსურვეთა რაოდენობამ, რომლებზეც წინა წლებში სტუდენტები იხდიდნენ სწავლის საფასურს და რომლებზეც ამჟამადაც არის მოთხოვნა პროფესიული განათლების ბენეფიციარების (არა დამსაქმებლების) მხრიდან (მაგალითად, ბუღალტერი, ოფისმენეჯერი და სხვ). პარალელურად, შემცირდა მოთხოვნა სახელობო პროგრამების შესწავლაზე, რომლის კურსდამთავრებულებზეც დამსაქმებლების მხრიდან, მეტწილად, სტაბილური მოთხოვნაა. შედეგად, სასწავლო წლის განმავლობაში, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სასწავლებლებში მომზადებული რამდენიმე ათასი ბუღალტერიდან მხოლოდ მიზეზული ნაწილი საქმდება, აბსოლუტური უმრავლესობა კი რჩება დაუსაქმებელი, მაშინ, როდესაც დამსაქმებლების მოთხოვნას სახელობო პროგრამების კურსდამთავრებულზე ვერ ვაკმაყოფილებთ. ნაკლებად პრიორიტეტულ პროგრამებზე სტუდენტების სწავლის დასაფინანსებლად უმჯობესი იქნება, შემოვიღოთ პროფესიული ტესტირების შედეგების მიხედვით მათი დაფინანსების პროცენტული განსაზღვრა, რაც იმას ნიშნავს, რომ სწავლის სრულ დაფინანსებას მიიღებს სტუდენტი, რომელიც დააგროვებს ქულათა უმეტეს რაოდენობას, ამასთან, დაფინანსების ამგვარი ფორმის შემოღებამ გავლენა არ უნდა იქონიოს მასწავლებლების ანაზღაურებაზე.

10. რეგულირებადი პროფესიების არასრული ჩამონათვალი. პროფესიისთვის რეგულირებადი სტატუსის სწორად განსაზღვრა განაპირობებს დასაქმებული პირებისათვის პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქონის აუცილებლობას და მის მიღებას ფორმალური განათლებით ან არაფორმალური განათლების აღიარების გზით, რაც შეუძლებელია განხორციელდეს პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი სასწავლებლების გარეშე. ამით მნიშვნელოვნად გაიზარდა პროფესიული განათლების პოპულარობა.

11. არაფორმალური განათლების აღიარების არასრულყოფილი სისტემა. ორგანიზაციების მხრიდან, რაც შემთხვევაში, არის მოთხოვნა მათთან დასაქმებული პირის არაფორმალური

(ცოდნის აღიარების თაობაზე, რასაც დღემდე ვერ ვახერხებთ.

12. კვალიფიკაციის მინიჭების არასრულყოფილი სისტემა. სისტემის დასახვეწად საჭიროა, იმ სასწავლო დანესებულებაში გასაზღვრად, სადაც უნდა მოხდეს კვალიფიკაციის მინიჭება, მინიჭებამდე რამდენიმე დღით ადრე, შემთხვევითი არჩევის გზით, შერჩეულ იქნან სხვა სასწავლო დანესებულების დარგის სპეციალისტები ან დამსაქმებლები, რომლებიც მინიჭების პროცედურაში მონაწილეობისათვის მიიღებენ მათგან მანაზღაურებას და აიღებენ პასუხისმგებლობას მათ მიერ მინიჭებულ კვალიფიკაციაზე. ეს ხელს შეუწყობს მაქსიმალურად ობიექტურ-გამჭვირვალე და მიუკერძოებელ შეფასებას, ასევე, სტიმულს მისცემს სასწავლო დანესებულებებს შორის საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, რაც, საბოლოო ჯამში, გახდება განათლების ხარისხის სტაბილური განვითარების ერთ-ერთი საწინდარი.

13. პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპანიებისათვის და დამსაქმებლისათვის, ასევე მათთვის, ვინც შესაძლებელია, შემდგომში ჩართოს განათლების ამ სეგმენტში, არასაკმარისი მოტივაცია, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს შანსს, აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების სისტემაში და ხელი შეუწყონ განათლების ამ სეგმენტის სწორ განვითარებას.

14. შრომის ინსპექციის არარსებობა. მოთხოვნად სპეციალობებზე, უმეტეს შემთხვევაში, საქმდება მოტივირებული და დამსაქმებლისათვის მისაღები კვალიფიკაციის კურსდამთავრებული, მაგრამ არასათანადო პირობებისა და შრომის ანაზღაურების გაუმართავი სისტემის გამო ვერ იღებს დამსახურებულ ანაზღაურებას და თავს ანებებს მუშაობას. მსგავსი მაგალითების არსებობა მოტივაციას უკარგავს პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებულ სხვა მომხმარებლებსაც.

15. პროფესიული სტუდენტების არასაკმარისი მოტივაცია, კერძოდ, სახელობო პროგრამების პროფესიული სტუდენტებისათვის სტიპენდიის არარსებობა. ვინაიდან მათი უმეტესობა სოციალურად შეჭირვებული ფენის წარმომადგენელია და ხშირად ვერ ახერხებს სწავლის დასრულებას, ამიტომ აუცილებელია, წარჩინებული სტუდენტებისათვის შემოღებულ იქნეს სტუდენტური სტიპენდია, რომლის ცაცემაც გახდება მკაცრად რეგულირებული და განხორციელდება მხოლოდ სტუდენტებისათვის წინასწარ ცნობილი გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყოველივე ეს კი გაზრდის მათ მოტივაციას, არა მარტო ისწავლონ, არამედ ისწავლონ საუკეთესოდ, რათა სასწავლო რესურსი მეტად ხელმისაწვდომი გახდეს მათთვის.

16. სწავლის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზების პრობლემა. ზოგიერთ სახელობო პროგრამაზე სწავლის პროცესში ხდება პროდუქციის შექმნა, მაგრამ არსებული საკანონმდებლო ბანათების გამო სასწავლო სტუდენტები ვერ ახორციელებს მის რეალიზაციას და მიღებული შემოსავლების სასწავლებლის განვითარებაში რეინვესტირებას.

17. ზოგიერთ პროფესიულ სასწავლო დანესებულებაში სტუდენტური საერთო საცხოვრებლების არარსებობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელობო პროგრამების ძირითადი მომხმარებლები (ბენეფიციარები) სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული სტუდენტები არიან, ამგვარი საერთო საცხოვრებლები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათთვის სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობას.

18. პროფესიული სტუდენტების სამხედრო სავალდებულო სამსახურში განევეა. მას შემდეგ, რაც პროფესიული სტუდენტი გაივლის ტესტირებას და ჩაირიცხება საჯარო პროფესიულ სასწავლო დანესებულებაში, მის სახელზე აღნიშნული დანესებულების ანგარიშზე ჩაირიცხვიდან არაუმეტეს 35 დღეში დანესებულებას ერიცხება ერთი სტუდენტის ერთი კვარტლის ვაუჩერული დაფინანსება პროგრამის მიხედვით (სხვადასხვა პროფესიულ პროგრამაზე ერთი თვის ვაუჩერი შეეკვრება 400 და 2250 ლარამდე). სწავლის დაწყების პირველ თვეს სტუდენტის სამხედრო სავალდებულო სამსახურში განევეისა და სამსახურის დასრულების შემდეგ, თუ სტუდენტი აღარ გადაწყვეტს სწავლის გაგრძელებას, დგება მისი სწავლისათვის უკვე გამოყოფილი თანხის არამიწოდებელი დაუკარგვის საშიშროება. ამასთან, როგორც წესი, სავალდებულო სამსახურის შემდეგ მხოლოდ მცირე ნაწილი აგრძელებს სწავლას.

19. პროფესიული განათლების სისტემაში დასაქმებულეების მომზადება-გადამზადების, კვალიფიკაციის განსაზღვრის ერთიანი სისტემის არარსებობა, რაც ცხადია, ხელს არ უწყობს პროფესიულ განათლებაში დასაქმებული მენეჯერების მუდმივ ზრდასა და განვითარებას.

20. განათლების ამ სეგმენტში დასაქმებული მენეჯერების დანიშნულების სწორი მექანიზმის არარსებობა. პროფესიული განათლების სისტემაში მომუშავე ნებისმიერი რგოლის მენეჯერების დანიშნულება დღემდე არ ხდება მათი დამსახურებებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, რაც შედეგად გვაძლევს ნომინალური, დაბალი მოტივაციის მქონე მენეჯერებს, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს არასწორ ადმინისტრირებას და ხელს არ უწყობს დარგის განვითარებას.

21. კერძო და სახელმწიფო პროფესიული განათლების დანესებულებებს შორის კონკურენციის არარსებობა. არ არსებობს სახელმწიფო და კერძო პროფესიული განათლების დანესებულებისთვის სტუდენტების დაფინანსების ერთიანი ვაუჩერული სისტემა, რაც მათ, მეტწილად, თანაბარ პირობებში ჩააყენებდა, ასევე, განაპირობებდა ამ სეგმენტის მომსახურების მომხმარებლებისთვის არჩევანის მრავალფეროვნებას. საბოლოო ჯამში, ჯანსაღი კონკურენცია ერთმნიშვნე-



პროფესიული განათლება

ლოგონად შეუწყობდა ხელს დარგის სწრაფ განვითარებას.

22. არაფეხიანი მართვა. განათლების ამ სეგმენტის მართვა დამოკიდებულია პროფესიების ნებაზე და არა ინსტიტუციებზე. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ პროფესიული განათლების განმახორციელებელ დაწესებულებებში არის მუდმივი არასტაბილურობის განცდა, რადგან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მართვაში განხორციელებულ ყოველ ახალ საკადრო ცვლილებას, უმეტესწილად, მიმდინარე რეფორმის შეწყვეტა და ახლის ნამოყვება მოჰყვება.

ეს არის იმ პრობლემების არასრული ნუსხა, რომელიც ხელს უშლის პროფესიული განათლების მდგრად განვითარებას. მათ შესახებ დარგის სპეციალისტებისათვის ცნობილია, არაერთხელ დაწერილა პრესაში და თქმულა ტელევიზიით, თუმცა ამან ჯერჯერობით სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

პრობლემების მოგვარების ხედვა:

თუ ჩვენ არ გვეცოდინება, სად მივდივართ და რისთვის, როგორ ვაპირებთ დანიშნულ ადგილამდე მისვლას, მაშინ მუდმივად მოგვინევს მოჯადოებულ წრეზე სიარული.

განათლების სისტემის ნებისმიერ საფეხურზე სწავლა/სწავლების ხარისხს (შედეგზე ორიენტირებულობა) განაპირობებს რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, კერძოდ:

- ა) თანამედროვე, მოქნილი სტანდარტები და სასწავლო პროგრამები;
- ბ) ქართულად თარგმნილი თანამედროვე სასწავლო და მეთოდური ლიტერატურა ან/და ინტერნეტრესურსი;
- გ) სასწავლო პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აღჭურვილობა;
- დ) სათანადოდ მომზადებული მასწავლებელი;
- ე) მოტივირებული მასწავლებელი;
- ვ) მოტივირებული სტუდენტი (მოსწავლე);
- ზ) სასწავლო დაწესებულების სწორად მართვა-აღმინისტრირება.

მხოლოდ ამ ძირითადი ფაქტორების ერთმანეთთან თანხვედრა-კავშირითაა შესაძლებელი განათლების სისტემის წარმატებული (პარამონიული და შედეგზე ორიენტირებული) განვითარება.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, პროფესიული განათლება საჭიროებს გადაუდებელ, ფუნდამენტურ რეფორმირებას, რის შესახებაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ლომიძემ 2016 წლის 18 იანვრის გამოსვლაში. პროფესიული განათლების გადაუდებელი, ფუნდამენტური რეფორმირებისათვის კი საჭიროა:

1. განისაზღვროს მიზანი, რის მიღწევასაც ვეგეგმავთ, რომელმაც უნდა განაპირობოს პროფესიული განათლების განვითარების სწორი სტრატეგიის შექმნა და რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ სფეროში დაინტერესებულმა ყველა მხარის წარმომადგენლებმა.

2. განისაზღვროს შედეგები, რის მიღწევასაც ვცდილობთ, რასაც რეფორმის გატარების შემდგომ ველოდებით (სარგებელი, რომელიც შესაძლოა მოუტანოს რეფორმამ ქვეყანას, განათლების ამ სეგმენტის პროდუქტის მომხმარებლებს, პარტნიორებს, სისტემაში მომუშავე ადამიანებსა და მთლიანად საზოგადოებას).

3. შეიცვალოს გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი პროფესიული განათლების სისტემაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელი გახდეს მხოლოდ სიღრმისეული კვლევების საფუძველზე; მაგალითად, დაიგეგმოს შრომის ბაზრის, სახელმწიფო საჭიროებებისა (გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე) და პროფესიული განათლებით მოსარგებლეთა საჭიროებების კვლევა. ასევე მოხდეს საუკეთესო უცხოური გამოცდილების გაცნობა და ქართული სახელმწიფოს თავისებურებების, ეროვნული მენტალობის გათვალისწინებით და კვლევების შედეგებზე დაყრდნობით მათი გაზიარება და, ამგვარად, პროფესიული განათლების ქართული მოდელის შემუშავება.

4. განათლების სისტემის ერთიანი ხედვისა და პროფესიული განათლების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის საფუძველზე ჩატარდეს პროფესიული განათლების განვითარების რეფორმა, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც განათლების ამ სეგმენტში, ასევე მასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულ სფეროებში შესატანი საკანონმდებლო

ცვლილებები.

5. დეტალურად გაინეროს ყველა ის სამუშაო თუ აქტივობა, რაც უნდა შესრულდეს რეფორმის ფარგლებში.

6. განისაზღვროს, რა დროში უნდა შესრულდეს აღნიშნული რეფორმით გათვალისწინებული სამუშაოები და აქტივობები.

7. შემუშავდეს რეფორმის მიმდინარეობის შუალედური შეფასების კონცეფცია, რაც საშუალებას მოგვცემს, მის დასრულებამდე შევიტანოთ საჭირო ცვლილებები რეფორმის მიმდინარეობაში.

8. შემუშავდეს რეფორმის როგორც საბოლოო, ასევე შუალედური შედეგების შეფასების განმსაზღვრელი კრიტერიუმები, რაც მოგვცემს იმის გაზომვის საშუალებას, თუ რამდენად სწორად განხორციელდა რეფორმა, რამდენად ეფექტიანად მოხდა სახელმწიფო სახსრების ხარჯვა.

9. ზუსტად განისაზღვროს რეფორმის თითოეული ნაწილის განხორციელებაზე გასანჯვი სამუშაოების თანამიმდევრობა და განმახორციელებელ რგოლებს შორის ეფექტური კოორდინაციის მექანიზმი.

10. განისაზღვროს როგორც რეფორმის თითოეული ნაწილის, ასევე მთელი რეფორმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ პროფესიული განათლების რეფორმირება იოლი საქმე სულაც არ იქნება, არც დადებით შედეგები იქნება მყისიერი, რადგან (შედარება რომ გავაკეთოთ) ჩვენ არ შეგვიძლია დროზე ადრე დაგამნიჭოთ ვაშლის ხის ნაყოფი, მაგრამ თუ ხეს სწორად გავსხლავთ, დროულად შევწამლავთ, ნიადაგში სასუქს სწორად შევიტანთ და მორწყვას არ დავაკლებთ, როცა სიმწიფის დრო მოვა, მივიღებთ უფრო ხარისხიან და დიდი ოდენობის ნაყოფს.

როგორც დიდმა ილიამ თქვა, „თუ სურვილი ძლიერია, საქმეც უნდა გამოიღოს“.

პარლამ ავალიზილი სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრის“ დირექტორის მოადგილე

ინფორმაცია

სოფელ დიოკნისში ახალი სკოლა გაიხსნა

მარნეულის რაიონის სოფელ დიოკნისის მოსწავლეები, ახალი სასწავლო სემესტრიდან, თანამედროვე სტანდარტების ახალ სკოლაში აგრძელებენ სწავლას. სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ალექსანდრე ჯეჯელავამ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერა.

მარნეულის რაიონის სოფელი დიოკნისი 90-იან წლებში მთიანი აჭარადან ჩამოსული

მოსახლეობითაა დასახლებული, სოფელში სკოლა არ არსებობდა და 70-მდე მოსწავლე, ორი ათეული წელია, კერძო სახლში განთავსებული, სახელდახელოდ მოწყობილ საკლასო ოთახებში სწავლობდა. 2013 წელს, სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთობლივი დაფინანსებით, სოფელში ხის კოტეჯი აიგო, სადაც გაგრძელდა სასწავლო პროცესი. 2016 წელს კი, დასრულდა ახალი სკოლის

მშენებლობა, რომელიც 150 მოსწავლეზეა გათვლილი. ახალ სკოლაში ყველაფერია, რაც ევროპული სტანდარტების სკოლას შეესაბამება – თანამედროვე გათბობის სისტემა, ბიბლიოთეკა, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტები, ექიმის კაბინეტი, დიდი ლამაზი საკლასო ოთახები ახალი სასკოლო მერხებითა და დაფებით, ღია სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, სკოლა ადაპტირებულია

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის და აღჭურვილია სპეციალური პანდუსებითა და ლიფტით.

ალექსანდრე ჯეჯელავა: „ძალიან სასიხარულო დღეა. მოგესხენებათ, რომ 25 წლის განმავლობაში, საქართველოში, სკოლები არ შენდებოდა, პირიქით, იხურებოდა და ინგრეოდა სკოლის შენობები. ბოლო რამდენიმე წელია, ათობით ახალი სკოლა გაიხსნა. მათ შორისაა დიოკნისის სკოლა. არაჩვეულებრივი პროექტია, შეიძლება ითქვას, რომ ეს შენობა მთელი სოფლის მარგალიტია, რომ მოვდიოდით, შორიდანვე დაინახე. მიხარია, რომ ის სახელმწიფო ხარჯითაა აშენებული, უახლესი სტანდარტების, სპეციალური საჭიროების მოსწავლეებისთვის ადაპტირებული შენობაა. პედაგოგებისთვისაც და მოსწავლეებისთვისაც საუკეთესო გარემოა შექმნილი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხელს შეუწყობს ამ სოფლის და მეზობელი სოფლის მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებას.“

ჩვენი ამოცანაა, სოფლის სკოლები საქართველოში იყოს ყველაზე კარგი, ინფრასტრუქტურული, მხარდაჭერის, პედაგოგების კვალიფიკაციის და ყველანაირი თვალსაზრისით. მე მგონია, რომ ეს სკოლა იქნება ერთ-ერთი სამაგალითო და გამორჩეული ამ მხრივ.“



თანამედროვე სასწავლო გარემო

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა – სრულიად განახლდა და კეთილმოწყობილი კორპუსის ხუთივე სართული, ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობა, სასწავლო და სამეცნიერო ფართები, დამონტაჟდა ახალი გათბობის სისტემა, მოხდა ფასადის სრული რეაბილიტაცია (1-ლი და მე-2 კორპუსი), განახლდა ტექნიკურ-მატერიალური ბაზა. ამოქმედდა თანამედროვე სტანდარტების უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკა „ბსუ დენტი“. სტუდენტებისათვის მოწყობილი ფაკულტეტის სამუშაო სივრცეები, საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, საგამოცდო ცენტრი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია, განახლდა ზოოლოგიისა და მინერალოგიის კაბინეტები, ფოტო-ვიდეოსტუდია, სპორტული მოედანი და ეზო.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან ინგა შამილიძეშვილთან ერთად დაათვალიერა.

თსუ-ს სტუდენტების წარმატება



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა კობა კობერიძემ, სულიკო კობერიძემ, დათვი ნასყიდაშვილმა, დათვი გაგოშიძემ, ბორის გელაშვილმა, თამარ ლუფთაძემ და ალექსანდრე ჭუმბურიძემ, ექსპედიციის ხელმძღვანელთან, პროფესორ ვახტანგ ლიჩელთან ერთად, კუნძულ კვიპროსზე ქართულ კვალს მიაკვლიეს. ექსპედიციის წევრებმა თითქმის

მთლიანად შეისწავლეს XIV-XVI საუკუნეების ეკლესია და მის გარშემო გამართული 14 სამარხი. აქვე არის აღმოჩენილი ცილილებით ძველი, XII-XIII საუკუნეების ფრამენტებიც, რაც უსუსტად ემთხვევა ქართველთა აქტიური მოღვაწეობის ხანას კვიპროსზე. ახალგაზრდა არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი არტეფაქტებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა ჩვენი პატარა ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

ახალი ინიციატივა

ალექსანდრე ჯეჯელავას ინიციატივით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, პირველად, მოსწავლეთა მშობლების მოსმენა და მათთან ერთად, პრობლემური საკითხების მოგვარება დაიწყო. სამუშაო ფორმატში, მშობლებთან პირველი შეხვედრა უკვე გაიმართა, სადაც მათ საშუალება ჰქონდათ, ესაუბრათ სასკოლო ცხოვრების როგორც დადებით, ისე პრობლემურ საკითხებზე, გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები, მიეღოთ ინფორმაცია ზოგადი განათლების მიმართულებით არსებულ გამოწვევებსა და დაგეგმილ სიახლეებზე.

სამუშაო შეხვედრები მშობლებთან სისტემატურად გაიმართება, ყველა მშობელს ექნება შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა და აქტიურად ჩაერთოს შეიღების განათლების პროცესში.



# ხანდახან სულ პატარა საბავი ხდება ჩვენი გადაწყვეტილების მიზეზი

რუბრიკის სტუმარია ჰურიე აბაშიძე, ჰაჯეთიანის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული



– ჰურიე, როგორ გახსენდება მოსწავლეობის პერიოდი, იქ გატარებული წლები, შენი მასწავლებლები, რამდენად წარჩინებული მოსწავლე იყავი, განსაზღვრა თუ არა სკოლა შენი პროფესიული მომავალი?

– ხულოს რაიონის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლა წარჩინებით, ვერცხლის მედალზე დავამთავრე, ამ ყველაფერში, რა თქმა უნდა, ჩემს პედაგოგებს უდიდესი წვლილი მიუძღვით, მათი დახმარებით შევძელი XII კლასის წარმატებით დამთავრება. ალბათ ყველა დამეთანხმება, როგორც მონდომებული და წარმატებული უნდა იყოს მოსწავლე, მასწავლებლის დახმარება და ნახაღისება ყველაფერს აორმაგებს, ჩემს მასწავლებლებს კი ეს შესანიშნავად გამოუვიდათ. მადლიერი ვარ თითოეულის. რაც შეეხება სკოლის წლებს, რა თქმა უნდა, შესანიშნავი პერიოდი ყველა დამიანის ცხოვრებაში, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს შემდგომ ჩამოყალიბებასა და განვითარებას. სკოლაში სწავლის ბოლო პერიოდი, როგორც ყველა მოსწავლისთვის, ჩემთვისაც ემოციებით დატვირთული იყო. ყველა ემზადება ახალი ეტაპისთვის და ამ ყველაფერში, რა თქმა უნდა, მოსწავლეებთან ერთად მასწავლებლებიც არიან ჩართული. მათი გამოცდილება მოსწავლეებს პროფესიის არჩევაში ეხმარება. მასწავლებლების გამოცდილება და აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ პროფესიის არჩევაში გადაწყვეტილება როლი სკოლაში ან პედაგოგმა ითამაშა, უბრალოდ, უფრო მეტად დამაფიქრა იმაზე, თუ ზუსტად ვინ მინდოდა ყოვლილთვის და მომავალში რის გაკეთებას შევძლებდი. ყველაფრისთვის უდიდეს მადლობას ვუხდის ჩემს სკოლას და ყველა იმ პედაგოგს, ვინც ჩემს განათლებაში ცოტაოდენი წვლილი მაინც შეიტანა.

– სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა თურქეთის ჰაჯეთიანის უნივერსიტეტის ენებისა და კვლევის ცენტრში გააგრძელე. რატომ აირჩიე განათლების მისაღებად ეს ქვეყანა, რა პროფესიის დაეუფლე და რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი?

– ამ ქვეყნის არჩევა უფრო მეტად თურქეთის რესპუბლიკის მიერ უცხოელი სტუდენტებისთვის გამოყოფილმა სტიპენდიამ განაპირობა, რაც საშუალებას მომცემდა, სასურველი პროფესია შემესწავლა. წელს დავამთავრე ჰაჯეთიანის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი და უალრესად კმაყოფილი ვარ, რომ განათლების მისაღებად ეს ქვეყანა ავირჩიე. ფსიქოლოგიის არჩევა თვით ფსიქოლოგიამ და ადამიანის ამოუცნობმა ბუნებამ გადაამყვებინა. ინტერესმა იმისა, რა იმალეა ჩვენ შიგნით, რა ინვეს ადამიანის ამა თუ იმ ქმედებას და თვითონ ადამიანმა. ვფიქრობ, ყველაზე საინტერესო და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ადამიანის ცხოვრებაში ფსიქოლოგიაა.

– რა წესით გამოიყოფა ჰაჯეთიანის უნივერსიტეტში სტიპენდიები და გრანტები უცხოელი სტუდენტებისთვის, რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები და არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები?

– ისევე როგორც სხვადასხვა ქვეყნებს, თურქეთის რესპუბლიკასაც აქვს უცხოელი სტუდენტებისთვის სტიპენდიები და გრანტები, რაც გულისხმობს როგორც ნაწილობრივ, ასევე სრულ დაფინანსებას. ასეთი მეთოდი ვფიქრობ, ბევრი სტუდენტისთვის, ვისაც ფინანსური საშუალება არ აქვს, ძალიან კარგი შესაძლებლობაა განათლების მისაღებად. ასევე უნივერსიტეტებს საკმაოდ კარგი გაცვლითი პროგრამები აქვთ სხვადასხვა ქვეყნებში, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, გაიცნოს ახალი ქვეყანა, მისი ტრადიცია, კულტურა და შეისწავლოს იმ ქვეყნის ენა, სადაც იმყოფება. ეს პროგრამები როგორც სემესტრულად, ასევე ერთი წლითაც გრძელ-

დება. პირადად ჩემთვის, სხვა ქვეყანაში განათლების მიღება კარგი საშუალება იყო გამეცნო მისი კულტურა და ხალხი, არა მარტო თურქი, ასევე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტები, გავიცანი უამრავი ქვეყნის წარმომადგენელი, მათი კულტურა. მიხარია და ვამაყობ იმით, რომ მომეცა საშუალება, ჩემი პატარა ქვეყანა მეც გამეცნო სხვებისთვის. სხვა ქვეყანაში განათლების მიღება არ ნიშნავს, მხოლოდ იმ ქვეყნის გაცნობას, ეს საუკეთესო საშუალებაა, შენი ქვეყანა გააცნო სხვებს.

– რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამების, ლექციებისა და პროფესორ-მასწავლებლების შესახებ?

– როგორც ზემოთ ვახსენე, სხვადასხვა სახის პროგრამები არსებობს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს პროფესიულად განვითარდეს, აირჩიოს რომელი პროგრამაც სურს, ასევე ზაფხულობით ეწყობა კონფერენციები სხვადასხვა უნივერსიტეტში, სადაც დასწრება ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია თავისი პროფესიის ფარგლებში. მასში მონაწილეობენ ქვეყნის საუკეთესო პროფესორები, მსგავსი კონფერენციების და პროგრამების მიზანია სტუდენტებისთვის უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება პროფესიასთან დაკავშირებით. საუბარი იმართება პროფესიაში არსებული მიდევნებისა და მომავალი გეგმების შესახებ. რაც შეეხება ლექციებს და პროფესორებს, შემიძლია ვთქვა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დამაღწია ესწრებოდე და უსმენდე 3-საათიან ლექციას, ჩემთვის ყოველი ლექცია ერთი ნაბიჯით უფრო მაღლა ასვლა იყო, ყოველი ახალი ლექცია ახალი ინფორმაციის და განვითარების საშუალებას მაძლევდა, რაც, რა თქმა უნდა, პროფესორების უდიდესი დამსახურებაა. ყველა სტუდენტს საშუალება აქვს გამოთქვას საკუთარი აზრი, პროფესორები უფლებას გვაძლევდნენ გვესაუბრა და გვემსჯელა ამა თუ იმ საკითხზე, თავად აგვეჩივრა თემა და განხილვა მოგვეწყო. პროფესორის მიერ მონოლოგიური ინფორმაცია ყოველთვის დატვირთული იყო სხვადასხვა წყაროთი, რაც მეტი ინფორმაციის მოძიების საშუალებას გვაძლევდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო პროფესორებსა და სტუდენტებს შორის მეგობრული დამოკიდებულება, რაც საშუალებას გვაძლევდა უფრო მეტად ვახსნილები და უშუალოდ ვყოფილიყავით მათთან. ეს, რა თქმა უნდა, აადვილებდა სწავლის პროცესს. ყოველი ლექცია ჩემთვის რაღაც ახლის შექმნა იყო, რაც ძალიან მახარებს.

– რა როლი უჭირავს თურქეთში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?

– ბიბლიოთეკა, როგორც მოგეხსენებათ, განათლების მიღების ერთ-ერთი ნაწილია, თურქეთში კი უმთავრესი ადგილი ბიბლიოთეკას უჭირავს, სტუდენტებისთვის უმნიშვნელოვანესი ადგილია. ყველაზე მეტად, რაც უნივერსიტეტში მომწონდა, ეს იყო ბიბლიოთეკის 24-საათიან რეჟიმში, კვირაში 7 დღე მუშაობა, შეგეძლო იქ დარჩენილიყავი და გამოცდების პერიოდში საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკით გესარგებლა. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ყველა იმ საშუალებით, რაც სტუდენტს ესაჭიროება. იქ არის წიგნები როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. სტუდენტს წვდომა აქვს ნებისმიერ საჭირო ინფორმაციასთან. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკაში შშმ პირებისთვის გამოყოფილია ადგილი, სადაც თავისუფლად შეუძლიათ მეცადინეობა, შშმ პირები თავს ისე გრძნობენ, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები, რაც მნიშვნელოვანია და ძალიან მახარებს. იმედი მაქვს, რომ საქართველოშიც განვითარდება ეს ტენდენცია.

– მიაბმე შენი სამუშაო გამოცდილების შესახებ. გქონდა

თუ არა საშუალება გაგველო პრაქტიკა, ამჟამად რა საქმიანობას ეწევი?

– პრაქტიკა სწავლის პერიოდში გავიარე, რასაც თავად ჩემი ფაკულტეტი (ფსიქოლოგია) ითვალისწინებდა, ეს პრაქტიკაზე მეტად უფრო სტაჟირება იყო, რომელიც მე-4 კურსის ბოლო სემესტრში გავიარე. ვმუშაობდი აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა ცენტრში, სპეციალური სირთულეების მქონე 6-9 წლის ბავშვებთან, რომლებსაც გამართულად წერა-კითხვა უჭირთ. მიღებულმა გამოცდილებამ დამამარწმუნა, რომ სწორად ავირჩიე პროფესია. მივხვდი, რომ ყველა ბავშვი თავისებურად განსაკუთრებულია, ყველა ბავშვი არსებობს ის განსაკუთრებული თვისება, რაც მას სხვებისგან გამოარჩევს. ამიტომ არ აქვს მნიშვნელობა თუ რაში ჩამორჩება ის სხვა დანარჩენებს. თითოეულ ბავშვს განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება და ყველას თავისი მომავალი აქვს, რომლის შექმნაში ვცდილობთ ჩვენი წვლილის შეტანას. ისინი ხომ ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და ჩვენი მომავალია. სწორედ ეს სტაჟირება გახდა მიზეზი, რომ მომავალში ამერჩია ბავშვთა ფსიქოლოგია. ახლა ვემზადები მაგისტრატურისთვის და ზუსტად ვიცი, რომ ეს ჩემი ცხოვრების უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი არჩევანია. ხანდახან სულ პატარა საბავი ჩვენი გადაწყვეტილების მიზეზი ხდება. მიხარია, რომ საშუალება მომეცა თუნდაც მხოლოდ 3 თვე გამეტარებინა ასეთ ბავშვებთან, რათა შემდეგ სწორი გზა მეპოვა.

– ჰურიე, დამეთანხმები, ალბათ, რომ განათლების მიღება საზღვარგარეთ ქართველი ახალგაზრდებისთვის სულ უფრო უფრო პოპულარული ხდება. თუმცა, სწორი არჩევანის გაკეთება, საჭირო გამოცდილებისა და ცოდნის გარეშე, ძნელია. რას ურჩევ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ...

– კარგია, როცა განათლების მიღება გსურს და უფრო კარგია, როცა ამას უცხოეთში შეძლებ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველამ უცხოეთში უნდა ისწავლოს, მაგრამ თუკი გეძლევს საშუალება, რომ განათლება უცხოეთში მიიღო, ეს შანსი ხელიდან არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააუშვა, ოღონდ კარგად უნდა იყო დარწმუნებული, რომ შენი არჩევანი სწორია, რადგან ეს უბრალოდ სამოგზაუროდ წასვლა არ არის და ამ გადაწყვეტილებას თავისი სირთულეები ახლავს. იქ ცხოვრება, საკუთარი თავის იქაურ სიტუაციაზე მორგება, საკმაოდ რთულია. პირველ რიგში, კარგად უნდა იცნობდე იმ ქვეყნის უნივერსიტეტებს, უნდა იყო გარკვეული რამდენად პერსპექტიული და განვითარებადი შენი პროფესია იმ ქვეყანაში. ზოგადად კი ვფიქრობ, ყველა ახალგაზრდა ერთხელ მაინც უნდა წავიდეს უცხოეთში, რათა მეტად შეძლოს საკუთარი ძალიებისა და შესაძლებლობების მოსინჯვა, მით უმეტეს, რომ ეს გზა თვითგანვითარების საუკეთესო საშუალებაა.

– სწავლის პერიოდში, სად და როგორ ატარებდი თავისუფალ დროს? მიაბმე, როგორ ცხოვრობენ თურქი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული, როგორია თურქული სტუდენტური ცხოვრება?

– როგორც სხვა ქვეყნის სტუდენტებს, თურქებსაც ბევრი საშუალება აქვთ თავისუფალი დროის გასატარებლად – თეატრი, კინო, სპორტი, მოგზაურობები, რაშიც თვითონ უნივერსიტეტი უწყობს ხელს. უნივერსიტეტში შექმნილია ჯგუფები, სადაც შეგიძლია განეწიანდე და თავისუფალი დრო მათთან ერთად გაატარო, გარდა ამისა, არის კლუბები. ყოველი წლის გაზაფხულზე უნივერსიტეტში იმართება საგაზაფხულო ფესტივალი, რომელიც რამდენიმე დღე გრძელდ-



ქართული სტუდენტები უსსოთში

ბა და სადაც ქვეყნის ცნობილი მომღერლები მონაწილეობენ. მოკლედ რომ ვთქვათ, ნებისმიერი სტუდენტისთვის არის საშუალება, გაერთოს საკუთარი ინტერესების შესაბამისად. მოგეხსენებათ, თურქეთი ცნობილია თავისი კულტურითა და ისტორიით, რაც მოგზაურობის მოყვარულებს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს. ამისთვის სტამბულის საკმაოდია.

– მომავალი როგორ გეხსება, სად აპირებ დამკვიდრებას? როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– როგორც გითხარით, სწავლა წელს დავამთავრე და თავის დამკვიდრებას საქართველოში ვაპირებ. მიინდა ჩემი პროფესიით საქართველოში გამოვადგე, როგორც შევძლებ. სადაც არ უნდა წახვიდე და სადაც არ უნდა მიიღო განათლება, ფიქრობ, საბოლოოდ, მაინც შენს ქვეყანას უნდა დაუბრუნდე. ყველაზე მეტად მხოლოდ საქართველოში გინდა შეიძლება გამოვადგე. რა თქმა უნდა, უცხოეთში მიღებული განათლება დამეხმარება ჩემი მიზნების განხორციელებასა და დასაქმებაში, თუმცა გადამწყვეტ როლს ვერ შეასრულებს, რადგან ნებისმიერ საქმეში მთავარ როლს არა დიპლომი, არამედ მიღებული განათლება ასრულებს. ყველანაირად ვეცდები მიღებული განათლება და გამოცდილება გამოვიყენო, გავუზიარო და დავეხმარო მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება.

რაღა ვეცდები მიღებული განათლება და გამოცდილება გამოვიყენო, გავუზიარო და დავეხმარო მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება.

– დაბოლოს, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, ის ალბათ მეტს და ღრმად ფიქრობს სამშობლოზე. საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი ადამიანი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს, როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ვეროა ისეთებს, როგორებიც ვართ თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს? რა არის ის, რაც თურქეთში გატარებულმა პერიოდმა მოგცა, შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული?

– რა თქმა უნდა, როცა სხვა ქვეყანაში ხარ, ყველაზე მეტად გენატრება შენი სამშობლო და მასზე ყველაზე მეტად შეგტკივა გული. უკეთესად აფასებ შენი ქვეყნის მდგომარეობას და კარგად აანალიზებ არსებულ პრობლემებს. ყველამ კარგად ვიცით, ჩვენს ქვეყანას რა სირთულეების გადალახვა უნდა და როგორ რთულ პირობებშია დღესაც, 2008 წლის ომი და მცოცავი ანექსია, რომელიც არამც და არამც არ მთავრდება. ყველაფერ ამის მიუხედავად ჩვენი ქვეყანა ცდი-

ლობს, საიმედო მოკავშირეების – ევროკავშირისა და ნატოს დახმარებით მოაგვაროს პრობლემა. თუმცა, ჯერ ბევრი რამ გვაქვს გამოსასწორებელი. ყველა ერთად მედგრად უნდა დავდგეთ და ყველაფერი აუცილებლად გამოვიყვანო. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავიდგა კიდევ და ვიზა ლიბერალიზაციამდე ერთი ნაბიჯი დავგეჩა.

თურქეთში გატარებულმა პერიოდმა ძალიან ბევრი მეგობარი შემიძინა, საკუთარი თავის რეალიზების საშუალება მომცა და უკეთესად დამანახა ჩემი ქვეყნის მდგომარეობა და არსებული სიტუაცია. საშუალება მომეცა ჩემი ქვეყანა გამეცნო სხვებისთვის, ასევე მე გამეცნო სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი და მათი კულტურა. უცხოეთში სწავლა მხოლოდ რაიმე პროფესიის მიღება არ არის, ეს არის როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული ზრდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ბედნიერი ვარ, ამ შესაძლებლობის გამო.

მადლობას ვიხდით, რომ მომეცით საშუალება ვყოფილიყავი რუბრიკის სტუმარი, თქვენი მკითხველისთვის გამეზიარებინა ჩემი ემოციები, გამოცდილება და შთაბეჭდილებები.

ესაუბრა მამა ყიფინანი

ინფორმაცია

ღვანულადი კელაგობები გაასილეს

ნათელი ხალიჩა მე-11 საჯარო სკოლის შესასვლელში, მოსწავლეები ყვავილებით ხელში, პედაგოგები, მშობლები – სკოლა თავის ღვანულადი პედაგოგებს აცილებს. ლიუდმილა შავგულიძის, ნაზირიძის გოგუაძისა და ომარ გოგოლაძის პატივსაცემად იმართება ეს საღამო.

ამაღლევებელი იყო ლუდა და ნაზი მასწავლებლების შემობრძანება ნათელი ხალიჩაზე. სამწუხაროდ, ომარ მასწავლებელი ვერ მობრძანდა, თუმცა, მოგვიანებით, სააქტო დარ-

ბაში შეკრებილ საზოგადოებას, ეკრანიდან დაელაპარაკა საყვარელი პედაგოგი. ეს სიურპრიზი იყო სკოლის დირექტორისაგან, რომელიც იმ დღეს სწვევია ომარ მასწავლებელს და ჩაუწერია მასთან ინტერვიუ.

მოულოდნელი იყო აგრეთვე იმ პედაგოგების გამოჩენაც, რომლებიც წლების წინ ნაბრძანდნენ სკოლიდან. ამისათვის დიდი მადლობა ქალბატონებს: მადონა გაბუნისა და მზია გულიაშვილს.

საზეიმო მიღების შემდეგ დაირეკა ზარი. სტუმრები და მასპინძლები მეორე სართულისაკენ გაემართნენ. გულშიჩამწვდომი იყო მოსწავლეებისა და მშობლების, კოლეგების მიერ წარმოთქმული სამადლობელი სიტყვები. წამყვანები საუბრობდნენ ღვანულადი პედაგოგებზე, მათ პროფესიულ ღირსებასა და დამსახურებაზე თაობების წინაშე.

„დაულალავმა ვარჯიშმა, თავდაუზოგავმა შრომამ იგი ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენად აქცია. იყო ჩემპიონიც, პრიზიორიც, არაერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებული“ – ითქვა ომარ მასწავლებლის შესახებ; წამყვანები გზადაგზა სთხოვდნენ ინტერვიუს პედაგოგებს, ინვესტდნენ პიანინოსთან, აცხადებდნენ პოეზიის წუთებს...

საღამო კარგა ხანს გაგრძელდა, არ ეთმობოდათ პედაგოგებს ერთმანეთი. სკოლის დირექციამ და განათლების რაიონული პროფკავშირის თავმჯდომარემ, სვეტლანა სურგულაძემ, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დიპლომები და საჩუქრები გადასცეს ქალბატონ ლიუდმილას და ნაზირიძეს. ჩანანერებით შეივსო ალბომი, რომელიც, საღამოს



განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა. ღვანულადი პედაგოგების მიმართ გამოჩენილი ყურადღება და მადლიერება კარგი მაგალითია ახალგაზრდა პედაგოგებისთვის, რომლებმაც უფროსი კოლეგების ტრადიცია ღირსეულად უნდა გააგრძელონ.

შორენა აბესლაშიძე  
თბილისის მე-11 საჯარო სკოლის  
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი



„მუმუშა“

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კინოს მუმუშაში გაიმართა შალვა (მუმუშა) განერელიას ხსოვნის საღამო, რომელიც გამოჩენილი რეჟისორის და პედაგოგის დაბადების დღეს მიეძღვნა. საღამოზე წარვენები იქნა 12-წუთიანი დოკუმენტური ფილმი „მუმუშა“, რეჟისორი – ვაკო კირკიტაძე. დამსწრე საზოგადოებას საშუალება მიეცა, აქვე გასცნობოდა თამარ ქუთათელაძის ნიგნს „შალვა განერელიას თეატრი“.

საღამო საინტერესო მოგონებებით გააღამაზეს მუმუშას მეგობრებმა, კოლეგებმა და მასზე უზომოდ შეყვარებულმა სტუდენტებმა.

\*\*\*

ნოდარ გურბანიძე: „მუმუშასთან ახალგაზრდობიდან ერთად მოვდიოდით. მან ორჯერ ჩაატარა რეფორმა მოზარდ მსყურებელთა თეატრში და ის მსოფლიო სტანდარტებს მიუახლოვა. მიუხედავად იმისა, რომ მუდამ უკმაყოფილო იყო თავისი სტუდენტებით და კრიტიკას არ იშურებდა, ისინი მასზე უზომოდ შეყ-

ვარებულები იყვნენ, რადგან იცოდნენ, თუ რა ბუმბერაზ პიროვნებასთან ჰქონდათ საქმე და რამდენი ცოდნა შეიძლებოდა მიეღოთ მისგან“.

ავთანდილ ვარსიანი: „ჩემს თეატრში ყველა სტუდენტი მისი ნამონაწერი. თუ მსახიობი მეტყველებს, მუმუშა სტუდენტი ვიყავი, ყოველგვარი კასტინგისგან ვათავისუფლებ. როდესაც მუმუშა საავადმყოფოში მოათავსეს, ექიმები განცვიფრებული მეკითხებოდნენ, ვინ არის ეს კაცი ასეთი, რომ ყოველდღე ცნობადი სახეები აკითხავენ და ღამეებს უთევნენ“.

გურამ ბათიაშვილი: „ჩვენ დიდი რეჟისორი და პიროვნება დავკარგეთ. მეამაყება რომ მისი მეგობარი ვიყავი“.

ნიკა წულუკიძე: „მუმუშასთან ერთად ვქეიფობდით, უცბად მობილურზე დაურეკეს, შეზარხობებულ იყო, მაგრამ დაუფიქრებლად მტკიცე უარი მიახალა მოსაუბრეს. აღმოჩნდა, რომ უპატრონოდ დარჩენილი რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობას სთავაზობდნენ. 10 წუთში რომიო სტურუამ გადმოიხედა და მათ შორი საინტერესო დიალოგი შედგა“.

გიორგი შალუაშვილი: „ხშირად დავდივარ მასტერ-კლასებზე და სხვადასხვა თეატრალურ შეხვედრებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. წელს ვიყავი ამერიკის საუკეთესო თეატრალურ სასწავლებელში, მაგრამ მუმუშას დონეს ვერავის შევადარებ, ის სულ სხვა სამყაროში იმყოფებოდა. სტუდენტებს დავალებას ვაძლევთ, გაიხსენეთ რაზე საუბრობდით, რა დავალებებს ვაძლევდათ, როგორ მუშაობდა თქვენთან და ჩანანერები გააკეთეთ, რათა ეს ჩანანერები წინადაც ვაქციოთ“.

რევაზ თოფურიანი

ახალი ვებგვერდი


ინკლუზიური განათლების პოპულარიზაციისა და საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, შეიქმნა ახალი ვებგვერდი – [www.inclusion.ge](http://www.inclusion.ge).

სემინარში მონაწილეობისთვის შესტურ ენაზე ინფორმაციის მიღების მიზნით, თბილისის 203-ე საჯარო სკოლაში შეიქმნა ვიდეოკლუბი, სადაც სკოლის სპეციალისტებთან ერთად, მაღალკლასილი მოსწავლეები ვიდეოსიუჟეტებს გაახმოვანებენ შესტურ ენაზე. ეს ვიდეოები განთავსდება ახალ ვებგვერდზე.

მოხილური აპლიკაცია

Persomedic – ასე ჰქვია მობილურ აპლიკაციას, რომელიც სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორეკურსელებმა – გიგა ვაშაკიძემ და დავით სოსელიამ შექმნეს.

პროექტი #EurasiaMobileChallenge-ის ერთ-ერთი ნაწევარფინანსისტი და მიზნად ექიმებისა და პაციენტების დახმარებას ისახავს. სამედიცინო აპლიკაცია გამოკითხვას მომხმარებლებს სიმპტომებს, ურჩევს მათ შესაბამისი პროფილის ექიმებს და უზრუნველყოფს არჩეულ ექიმთან შეხვედრის დაჯავშნას, ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებას. ქართველი სტუდენტების გამოგონებამ შეიძლება მსოფლიოში მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინოს.



თამარ მათიაშვილი  
შეკრებილი  
ინფორმაცია





ზურა მცხანია

# რიცხვის თვალსაჩინო მოდელები

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)

ჩვეულებრივ, დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლებისას მთავარი ციფრული ჩანაწერებია. ისინი ყოველ კლასში ნაადრევად ჩნდება და შემდეგ თითქმის მთელი არითმეტიკა მათზეა დაყვანილი. ეს დიდი მეთოდური შეცდომაა. მთავარი უნდა იყოს არა ციფრული ჩანაწერები, არამედ რიცხვების თვალსაჩინო მოდელები და ამაზე დამყარებული სიტყვიერი თანრიგობრივ აგებულებას, ქვეშეშინებით მოქმედებებს – მათ მექანიკურად ასრულებს. მათემატიკის სწავლა თანდათან უაზრო გაზეპირებაში გადადის.

სამწუხაროდ, სკოლებს არა აქვთ არათუ მრავალფეროვანი, არამედ მინიმალურად აუცილებელი თვალსაჩინოებაც კი. მაგალითად, კუბების, პირამიდებისა და სხვა სივრცითი მოდელების გარეშე, აგრეთვე უბრალო მეტრიანი სახაზავის გარეშე მათემატიკის წესიერი სწავლება შეუძლებელია. ეს სახაზავი (რომელიც ორიოდე ლარი ღირს) აუცილებელია როგორც გეომეტრიაში, ისე არითმეტიკაში – რიცხვთა სხივის (ლერძის) მოდელია. ორიოდე ლარის გამო მათემატიკის სწავლებას საყრდენი ეცლება. უკვე XVI საუკუნეში პედაგოგიკის კლასიკოსმა, იან ამოს კომენსკიმ დაასაბუთა სწავლების თვალსაჩინოების პრინციპი. სამწუხაროდ, XXI საუკუნის საქართველოში ეს პრინციპი არაა დაცული. როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლების ნახევარსაც კი არ გააჩნია მინიმალურად აუცილებელი თვალსაჩინოება. უამისოდ კი, წესით, სკოლას აკრედიტაცია არ უნდა მიენიჭოს.


მოსწავლეს კომპიუტერი კი არ სჭირდება, არამედ – მეცნიერულად დასაბუთებული საკლასო თვალსაჩინოება.

რიცხვების კარგად გასაზრებლად საკლასო ოთახი მორთული უნდა იყოს რაოდენობათა შესაბამისი რიცხვებიანი პლაკატებით; მათგან მთავარია რიცხვითი კიბეები და რიცხვითი სხივები (ლერძები); შესაძლოა, ზოგი მოსწავლესაც დავამზადებინოთ.


ამის გარდა, რაც უფრო მრავალფეროვანია თამაშები, მით უფრო მეტ სხვადასხვა მონაცემების მქონე მოსწავლეს ექნება თავის გამოჩენისა და მათემატიკასთან დაახლოების საშუალება.

დაწყებით კლასებში მთავარია არა რვეულებში წერა, არამედ საკლასო აქტივობა ნივთებით, სურათ-სქემებითა და ხმამალალი მსჯელობით.

I კლასში აუცილებელია მრავალფეროვანი სათვლელი ნივთები (უმჯობესია, ერთი მაგნიტური კომპლექტი მაინც) და „დომინოსებრი“ სქემები, თან რიცხვის წარმოდგენა შესაქრებთა ჯამად ყველა შესაძლებლობით (ცხადია, სასურველია ფერადი – შესაქრებები მაინც რომ სხვადასხვა ფერისა იყოს). განვიხილოთ, მაგალითად, 9 (ელფისებში ჯამებია):




II კლასში „დომინოსებრი“ თვალსაჩინოება უნდა შეიცვალოს სქემატური „კვადრატული დაფით“. ის შედგება 10 ვიწრო სვეტისაგან, ანუ 5 ფართო სვეტისაგან (თითოეულ ვიწრო სვეტში – 10 უჯრედი, ფართოში – 20); ორი მეზობელი ვიწრო სვეტი ერთიანად ფერისაა და ერთიანდება ერთ ფართო სვეტში, რომელიც ზუსტად ორჯერ ფართოა ვიწრო სვეტზე. ეს იგი, დაფაზე თვალსაჩინოდ მოჩანს 10 ათეულიც, 5 ოცეულიც და ისიც, რომ ოცეული იგივეა, რაც 2 ათეული.



შეიძლება დამზადდეს თუნუქის ფურცელზე ბაცი ფერების ფერადი ზოლების გადახვევებით და მერე შავი ბადის დახაზვით (მაშინ საჭირო იქნება მაგნიტები) ან შეიკეროს ფერადი ნაჭრებისგან და გადაეკრას სქელ მუყაოს, უჯრედების ნაცვლად ჯიბაკები ექნება.

ყველა შემთხვევაში ჩასაწყობად საჭიროა „ერთეულები“ (20-30 ცალი) და „ათეულები“ (9 ცალი). ათეული თვალსაჩინოდ უნდა შედგებოდეს 10 ცალი ერთეულისგან, რომლებიც ერთადაა შენელებული.

ეს თვალსაჩინოება აუცილებელია ორნიშნა რიცხვების ქართულ სახელწოდებათა გასაზრებლად და შეკრება-გამოკლებისთვისაც. მაგ., აქ წარმოდგენილია რიცხვი ორ-მ-ოც-და-თვრამეტი = 2 · 20 + 18. მეორენაირადაც თვალსაჩინოა: 58 = 5 · 10 + 8.




ახლა განვიხილოთ მასზე შეკრების მაგალითი.

პირველი შესაქრები მთავსებულია დაფის მარცხენა მხარეს, მეორე შესაქრები კი მარჯვნიდან უნდა განლაგდეს სვე-

ტებად. შეკრებისას მოსწავლემ მეორე შესაქრები უნდა გადააღვას ისე, რომ პირველის უკანასკნელი ნაკლები სვეტი შეავსოს და შემდეგ მომდევნო სვეტები შეავსოს. იმისათვის, რათა ეს კარგად შესრულდეს, შესაქრები ისე უნდა შეიკრეს ხოლმე, რომ მათი ჯამი არ აღემატებოდეს 90-ს.

ხოლო გამოკლებისას კვადრატულ დაფაზე, ჩვეულებრივ, მარცხნიდან დაიწყება საკლების შესაბამისი სვეტები. მაკლები კი მხოლოდ დაფაზე იქნება დანერგილი სიტყვის, გამოსახულების ან ციფრული ჩანაწერის სახით. მისი შესაბამისი სვეტების დაწყება არ ხდება. პირიქით, დაწყებითი სვეტებიდან აიღება მაკლების შესაბამისი რაოდენობის ნრეები. ეს იმიტომ, რომ, საზოგადოდ, მაკლების გათვალსაჩინოება არაბუნებრივია. მაგ., I კლასში გამოკლებას ასე ვათვალსაჩინოებდით: მაგნიტურ დაფაზე იყო საკლების შესაბამისი გროვა, მაკლები მოსწავლეს მხოლოდ გონებაში ჰქონდა და მისი ტოლი რაოდენობის მაგნიტებს მოაკლვდა გროვას. სამუშაო რვეულში კი საკლების შესაბამისი ნრეები დახაზული იყო ლურჯ ფონზე თეთრად. მაკლები მოსწავლეს მხოლოდ გონებაში ჰქონდა და ნაშლიდა, ანუ ლურჯად გააფერადებდა მაკლების ტოლი რაოდენობის თეთრ ნრეებს.




1 20+14 2 20+8


თუკი მაკლები ისევე ნივთიერად ან ნახაზით გავათვალსაჩინოვებთ, როგორც შესაქრები, მაშინ გამოკლებას ველარაფრით ვერ გავარჩევთ შეკრებისაგან. უფრო მეტიც: გაუგებარია, რა უნდა ქნას მოსწავლემ, რა უნდა უფოს ორ გროვას.

გარდა ამისა, შედარებით ძნელი, გამოკლების დაწყებისას, კლასს უკვე მოთავებული აქვს შესაბამისი შემთხვევები შეკრებისა. თანაც, მოსწავლეები უკვე საკმაოდ კარგად გრძნობენ 99-ის ფარგლებს და ორნიშნა რიცხვის აგებულებასაც, ანუ უკვე საკმაოდ აქვთ განვითარებული რიცხვის გუმანი 100-ის ფარგლებში. შეკრების მაგალითებიც უკვე მრავალჯერ გაუთვალსაჩინოვებიათ კვადრატულ დაფაზე. ამიტომ მათთვის სულაც აღარ იქნება ძნელი ის, რომ მხოლოდ საკლები გათვალსაჩინოვდეს, ხოლო მაკლები ჩანაწერით იყოს მოცემული. სხვათა შორის, ამით სავაკვეთილო დროც დაიზოგება.

10000-ისა და, განსაკუთრებით, 1000-ის ფარგლებში აუცილებელი თვალსაჩინოება „ოთახ-კედელ-სვეტ-აგურები“ – როგორც ნივთიერად, ისე დახაზული სქემებით:



დაბოლოს, მრავალნიშნა რიცხვების თემისთვის სრულიად აუცილებელი თვალსაჩინოებაა „კოჭებიანი საანგარიშო“ – როგორც ნივთიერად, ისე დახაზული სქემებით:



მთავარია, რიცხვების იმ ფარგლებს, რომელსაც მიმდინარე ვაკვეთილზე ვასწავლით, კარგად შეუესაბამოთ აქტივობა ამ ხელსაწყოზე. 1000-ის ფარგლებში, ანუ III კლასში იგი ნაადრევია, რადგან პოზიციურ სისტემაზე დაფუძნებული – ერთი და იგივე კოჭი სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა რიცხვს აღნიშნავს. ეს კი III-კლასელისთვის ძნელია. რამდენიმე აქტივობა და ამოცანა ამ ხელსაწყოზე III კლასშიც სასარგებლოა, მაგრამ ეს ჯერ ვერ გამოდგება არითმეტიკის საყრდენად. სამაგიეროდ, IV კლასში მთავარი თვალსაჩინოება ხდება. 10000-ის ფარგლებში, სასურველია, რომ იგი „ოთახ-კედელ-სვეტ-აგურების“ პარალელურად გამოიყენებოდეს, რათა მოსწავლეები კარგად გაეჩვიონ მას.

რიცხვების გათვალსაჩინოების კიდევ ერთი, სახალისო საშუალებაა:

**თავაში „რიცხვის დაბაჟუნება“**  
საჭიროა სათანადო ტაბლო.  
ტაბლო რამდენიმე სახისაა:

ათეულები	ათეულები	
ოცეულები	ათეულები	
ოცეულები	ათეულები	ათეულები
ასეულები	ათეულები	ათეულები

მასწავლებელი საჩვენებელი ჯოხის წვერით აკაკუნებს ამ უჯრედებში, მოსწავლემ კი უნდა გამოიყენოს შესაბამისი რიცხვი ან პირიქით – მასწავლებელი ასახელებს რიცხვს, მოსწავლემ კი უნდა დააკაკუნოს. შემდეგ მოსწავლეები ერთმანეთთან წყვილებში აკეთებენ იმავეს.

I კლასში მხოლოდ ორი უჯრედი და აკაკუნებენ 10-დან 20-მდე რიცხვებს. II კლასში „ოცეულები“ შეიცვლება „ასეუ-

ლებით“. IV კლასში დაემატება კიდევ ერთი უჯრედი – „ათასეულები“.

რიცხვების თვალსაჩინო მოდელების გარეშე მოსწავლე ვერ გაიაზრებს რიცხვის თანრიგობრივ აგებულებას, ქვეშეშინებით მოქმედებებს – მექანიკურად ასრულებს. ეს ყოველივე სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა ტიპურ შეცდომაში იჩენს თავს. სხვათა შორის, ამ ტიპური შეცდომებიდან №4 მასწავლებლებსაც კი მოსდით.

## ტიპური შეცდომები რიცხვების წაკითხვა-ჩანერგვაში, თანრიგობასა და შედარებაში

1. რაოდენობათა შედარებისას პიაჟესული ილუზია – მოსწავლემ არ იცის, რომ ერთი და იმავე გროვაში რაოდენობა უცვლელია იმის მიუხედავად, გროვა გაფანტულია თუ შექტიდროებული.

ორი რაოდენობის მცდარად შედარება; მიზეზი: აზროვნების გამრუდება სივრცის აღქმის მიერ, შედეგად რაოდენობის ინვარიანტობის გაუაზრებლობა.

I კლასში საჭიროა: მოსწავლეთა ჭარბი აქტიურობა მრავალფეროვან სათვლელ ნივთებზე; გროვების შედარება დაწყებითი; ციფრული ჩანაწერების შემოტანა რაც შეიძლება გვიან.

2. „ოთხმოცდაცხრის“ ჩანერგა ასე: 49; ან, პირიქით, 49-ის წაკითხვა „ოთხმოცდაცხრა“-დ.

რიცხვის ქართული სახელწოდების მცდარად შესაბამება ციფრულ ჩანაწერთან;

ტიპური: ქართულ რიცხვით სახელთა ოცობითი თვის გაუაზრებლობა და იმ ციფრის დაწერა, რომელიც პირველად იმის.

II კლასში 30-ზე მეტი რიცხვების ციფრული ჩანაწერების შემოტანა საჭიროა რაც შეიძლება გვიან; სამაგიეროდ, საჭიროა ბევრი ვარჯიში ზეპირ თვლაზე, ანგარიშზე, რიცხვების შედარებაზე და, რაც მთავარია, ორნიშნა რიცხვში ოცეულთა, კიდევ ათეულთა და კიდევ ერთეულთა რაოდენობაზე, ანუ სანამ მოსწავლე ციფრული ჩანაწერებით შეასრულებს რაიმე მოქმედებას, მას ამგვარი მოქმედება მრავალჯერ უნდა ჰქონდეს შესრულებული ზეპირად (სიტყვებით). საგანგებოდ უნდა დამყარდეს ორმხრივი კავშირები ზუსტად ამ თანმიმდევრობით:

1. რიცხვის ქართული სახელწოდება ↔ 2. რიცხვში ოცეულთა რაოდენობა ↔ 3. რიცხვში ათეულთა რაოდენობა ↔

4. ამ რიცხვის ციფრული ჩანაწერი ყოველივე ამის საფუძველი კი რიცხვების თვალსაჩინო მოდელებზე ჭარბი მოქმედებებია. მთავარი მოდელებია „აგურ-სვეტები“ და „კვადრატული დაფა“.

3. „ექვსას ხუთის“ ჩანერგა ასე: 65; ან, პირიქით, 605-ის წაკითხვა „სამოცდაათხუთად“;

ასევე, „ორას სამოცდაათერთმეტი ათას ოცი“-ს ჩანერგა ასე: 27120. 605-ის წაკითხვა „ექვსი ათას ხუთ“-ად; 27020-ისა – „ორას სამოცდაათი ათას ოცი“-ად.

თანრიგების აღრევა და ზედმეტი თანრიგების დახაზვა; იმ თანრიგის უგულვებლყოფა, რომელშიც წულიანია;

მიზეზი: თანრიგების გაუაზრებლობა; სათანადო სამეულთა არცოდნა ან პასიურად ცოდნა; იმის არცოდნა, რომ მარცხნიდან პირველი თანრიგის შემდეგ სხვა თანრიგში იწერება არა შესაბამისი რაოდენობა, არამედ ნაშთი (ასეულთა გარდა, ათეულთა გარდა და სხვ).

III-IV კლასებში ახალი რიცხვების ციფრული ჩანაწერების შემოტანა საჭიროა რაც შეიძლება გვიან; სამაგიეროდ, საჭიროა ბევრი ვარჯიში ზეპირ თვლაზე, ანგარიშზე, რიცხვების შედარებაზე და, რაც მთავარია, მრავალნიშნა რიცხვში ათასეულთა, კიდევ ასეულთა, კიდევ ათეულთა და კიდევ ერთეულთა რაოდენობაზე, ანუ სანამ მოსწავლე ციფრული ჩანაწერებით შეასრულებს რაიმე მოქმედებას, მას ამგვარი მოქმედება მრავალჯერ უნდა ჰქონდეს შესრულებული ზეპირად (სიტყვებით).

ყოველივე ამის საფუძველი კი რიცხვების თვალსაჩინო მოდელებზე ჭარბი მოქმედებებია. IV კლასში მთავარი და ყოველად აუცილებელი მოდელებია კოჭებიანი საანგარიშო.

4. მიიჩნევა, რომ 467-ში 8 ათეული და 7 ერთეულია. რიცხვში ათეულთა და ერთეულთა რაოდენობის მცდარად დასახელება; მიზეზი: თანრიგის ცნების მექანიკურობა, რიცხვის თანრიგობრივი აგებულების არცოდნა; იმის არცოდნა, რომ ათეულთა თანრიგში იწერება არა ათეულთა რაოდენობა, არამედ, ასეულთა გარდა, მორჩენილ ნაშთში ათეულთა რაოდენობა.

III კლასში 100-ზე მეტი სამნიშნა რიცხვების ციფრული ჩანაწერების შემოტანა საჭიროა რაც შეიძლება გვიან; სამაგიეროდ, საჭიროა ბევრი ვარჯიში ზეპირ თვლაზე, ანგარიშზე, რიცხვების შედარებაზე და, რაც მთავარია, სამნიშნა რიცხვში ასეულთა, კიდევ ათეულთა და კიდევ ერთეულთა რაოდენობაზე, ანუ სანამ მოსწავლე ციფრული ჩანაწერებით შეასრულებს რაიმე მოქმედებას, მას ამგვარი მოქმედება მრავალჯერ უნდა ჰქონდეს შესრულებული ზეპირად (სიტყვებით).

ყოველივე ამის საფუძველი კი რიცხვების თვალსაჩინო მოდელებზე ჭარბი მოქმედებებია. მთავარი მოდელებია „აგურ-სვეტ-კედლები“.

1. გაარკვიეთ, ზემოთ გამოხატული „კვადრატული დაფა“ (თავისი წრებითურთ) შემდეგთაგან რომელი სასწავლო ქმედების გასათვალსაჩინოებლადაა ყველაზე ნაკლებ შესაფერ-



კვლევის დასასრული

- სი:
- ა) სიტყვიერად მოცემული ორნიშნა რიცხვების შეკრება;
  - ბ) ათეულის ფუძიანი გამოსახულების სახით ჩანერილ ორნიშნა რიცხვთა შეკრება;
  - გ) ოცეულის ფუძიანი გამოსახულების სახით ჩანერილ ორნიშნა რიცხვთა შეკრება;
  - დ) ციფრულად მოცემული ორნიშნა რიცხვების შეკრება (გონებაში ან ხმამაღალი მსჯელობით);
  - ე) ციფრულად მოცემული ორნიშნა რიცხვების ქვეშინე-რით შეკრების დასაბუთება;
  - ვ) ციფრულად მოცემული ორნიშნა რიცხვების ქვეშინე-რით შეკრების ჩატარება.

სწორი პასუხი - გ

2. ნინა ამოცანის ასარჩევი პასუხებიდან მოძებნეთ იმავე „კვადრატული დაფის“ ნახაზის ქვეშ მოცემულ მინანურთა შესაბამისი.

სწორი პასუხი - გ

3. შემდეგთაგან აარჩიეთ ყველაზე სრული და ზუსტი ახსნა იმისა, თუ ნინა ამოცანებში განხილულ „კვადრატულ დაფაზე“ მოცემული წრეების განლაგება რატომ არ გამოდგება გამოკლების გასათვალსაზრისოდ:

- ა) ასეთი გათვალსაზრისოდ ფორმალურ-მათემატიკურად კი მართებულია, მაგრამ მოსწავლისთვისაა გაუგებარი;
- ბ) გამოკლების გათვალსაზრისობისას საკლები უნდა იყოს მარცხნივ, მაკლები კი - მარჯვნივ;
- გ) მაკლები ჩანანერით უნდა იყოს მოცემული (სიტყვიერად, ციფრულად ან გამოსახულებით);
- დ) მაკლები არ უნდა იყოს საკლებისგან გამოცალკევებული;
- ე) I კლასში გამოკლებას ხომ სულ სხვაგვარად ვათვალსაზრისობთ;
- ვ) რიცხვის გუმანის საკმაო განვითარებულობის გამო გამოკლების გათვალსაზრისობა აღარაა საჭირო.


სწორი პასუხი - დ

4. ზემოთ მოცემულ კოჭებიან საანგარიშოზე თეთრი და შავი კოჭების შეკრება სრულდება. რომელ რიცხვს გვიჩვენებს შესაბამისი ჯამი?

- ა) 9351033; ბ) 0935033; გ) 9035933; დ) 0934933;
- ე) 9034933; ვ) 934933; ზ) 0935933.

სწორი პასუხი - ბ

5. სატესტო ამოცანა მოითხოვდა „ოთახ-კედელ-სვეტ-აგურებით“ შედგენილი სქემის შესაბამისი რიცხვის ციფრულად ჩანერას, ოღონდ როცა თანრიგები არეულია, მაგ.:



შემდეგთაგან რომელი გვიჩვენებს თანრიგების არევის მთავარ მიზანს?

- ა) მეტი თვალსაჩინოობა - არეულად დალაგებისას ერთეულთა შესაბამისი აგურები უკეთ ჩანს;
- ბ) ციფრების მექანიკურად დაწერის გამორიცხვა;
- გ) ნახაზის გალამაზება - არეულად დალაგებისას კომპოზიცია უფრო განონასწორებულია;
- დ) ამოცანის ცოტა უფრო გაძნელება.

სწორი პასუხი - ბ

6. შემდეგთაგან რომელი რაოდენობა ყველაზე უარესი ნინა ამოცანის სატესტო ამოცანისთვის?

- ა) 1234; ბ) 9720; გ) 2575; დ) 9702; ე) 2557;
- ვ) 4811; ზ) 1901; თ) 9072.

სწორი პასუხი - ე

7. სქემის შესაბამისი რიცხვის ჩანერის განხილული ამოცანები უნდა მოიცავდეს ყველა სახის ოთხნიშნა რიცხვებს. ნინა ამოცანის ასარჩევი პასუხებში მოცემული რიცხვები კი საამისოდ არაა საკმარისი. მათ აკლია რამდენიმე სახის ოთხნიშნა რიცხვი - შემდეგთაგან ყველა, იმ ერთის გარდა, რომელიც ზედმეტია, რადგან მის სახეობას ნინა ამოცანის ასარჩევი პასუხები ისედაც მოიცავს. შემდეგთაგან რომელია ეს ზედმეტი რიცხვი?

- ა) 1111; ბ) 6800; გ) 8006; დ) 6088; ე) 6000; ვ) 6080.

სწორი პასუხი - დ

8. თამაში „რიცხვის დაკავება“. ერთ უჯრედში წერია: „ასეულები“, მეორეში - „კიდევ ოცეულები“, მესამეში - „ბოლო ნაშთი“. მასწავლებელმა დააკაუნა ხუთჯერ „ასეულებში“, სამჯერ „ოცეულებში“ და ერთხელ „ნაშთში“. ხოლო მეორედ მასწავლებელმა მოსწავლეს დაავალა მიცემული რიცხვის დაკავება. მოსწავლემ დააკაუნა: ერთხელ „ასეულებში“, არცერთხელ „ოცეულებში“ და ცხრაჯერ „ნაშთში“. რომელი რიცხვი დაუკაუნებია მასწავლებელს? მოსწავლეს?

- ა) 531, 109; ბ) 561, 109; გ) 351, 901; დ) 531, 119;
- ე) 531, 190; ვ) 561, 190; ზ) 561, 119.

სწორი პასუხი - ბ

9. მასწავლებლის მიზანი იყო ყველა ძირითადი სახის სამნიშნა რიცხვების დაკავება. დააკაუნეს: 348, 101, 608, 100, 900, 991, 277, 555.

შემდეგთაგან ყველაზე მეტად კიდევ რომელი ერთი რიცხვი საჭირო?

- ა) 999; ბ) 200; გ) 785; დ) 282; ე) 822; ვ) 100; ზ) 460.

სწორი პასუხი - ზ

10. მასწავლებელმა მოსწავლეს დაავალა: დაბატე მოცემული რიცხვის შესაბამისი საგნების რაოდენობა: 5

შეაფასეთ ეს დავალება: I. აზროვნების იმ დონეზე, რომელსაც ამგვარი დავალება შეეფერება, ბავშვისთვის გაუგებარია ფრაზა „შესაბამისი საგნების“; II. დავალება აზროვნებად გაუმართავია; III. დავალება ენობრივად გაუმართავია. - მხოლოდ: ა) III; ბ) II; გ) I, II; დ) II, III; ე) I, III; ვ) I; ზ) არც ერთი; თ) სამივე.

სწორი პასუხი - თ) სამივე

11. ვთქვათ, გაკვეთილის თემაა: „ოცდაათზე ნაკლებ რიცხვთა ციფრული ჩანანერის დაკავშირება ათეულებად დათვლისას მორჩენილ ნაშთთან“.

შემდეგთაგან რომელი მაგალითია ყველაზე შესაფერისი ამ გაკვეთილისთვის?


- ა) ოცდაათი = 2 \* 10 + 4. ჩაინერება: 24. რას გვიჩვენებს ციფრი 2 და რას გვიჩვენებს ციფრი 4?
- ბ) თოთხმეტი = 1 \* 10 + 4. ჩაინერება: 14. რას გვიჩვენებს ციფრი 1 და რას გვიჩვენებს ციფრი 4?
- გ) ოცდაორი = 1 \* 20 + 2. ჩაინერება: 22. რას გვიჩვენებს ციფრი 1 და რას გვიჩვენებს ციფრი 2?
- დ) ოცდაათი = 1 \* 20 + 4. ჩაინერება: 24. რას გვიჩვენებს ციფრი 1 და რას გვიჩვენებს ციფრი 4?
- ე) ოცდაათი = 1 \* 20 + 4. ჩაინერება: 24. რას გვიჩვენებს ციფრი 2 და რას გვიჩვენებს ციფრი 4?
- ვ) ოცდაათი = 20 + 4. ჩაინერება: 24. რას გვიჩვენებს ციფრი 2 და რას გვიჩვენებს ციფრი 4?

სწორი პასუხი - ა

12. ნინარე ამოცანის ასარჩევი პასუხებიდან რომლის პირველი ნახევარი გამოდგებოდა იმ გაკვეთილისთვის, რომლის თემაა „ოციდან ოცდაათამდე რიცხვთა ქართული სახელწოდება“?

სწორი პასუხი - გ

13. შემდეგთაგან რომელი საგაკვეთილო თემისთვისაა




$$\begin{array}{r} 2 \cdot 100 + 3 \cdot 10 + 1 \quad 231 \text{ ორას ოცდაათერთმეტი} \\ + \\ 1 \cdot 100 + 2 \cdot 10 + 5 \quad 125 \text{ ას ოცდახუთი} \end{array}$$

ყველაზე შესაფერისი ეს მოცემული მაგალითები? ა) რაოდენობის სახელწოდება 999-ის ფარგლებში. ბ) შეკრება 1000-ის ფარგლებში. გ) რაოდენობის სახელწოდება 9999-ის ფარგლებში. დ) შეკრება 10000-ის ფარგლებში. ე) გამოკლება 10000-ის ფარგლებში. ვ) გამოკლება 1000-ის ფარგლებში.

სწორი პასუხი - ბ

14. ნინარე ამოცანის ასარჩევი პასუხებიდან მოძებნეთ



ყველაზე შესაფერისი ამგვარი თვალსაჩინოებისთვის:

სწორი პასუხი - ე ავხსნათ, თუ ამ ამოცანების ჩანანერებსა და ნახაზებში რატომ აღარაა გამოკვეთილი ოცეულები: მრგვალ ასეულებზე მოქმედებათა გამოცალკევების მეშვეობით 1000-ის ფარგლებში შეკრება-გამოკლება უნდა დაეყვანოთ 100-ის ფარგლებში შეკრება-გამოკლებას - ეს კი მოსწავლეს აძლევს ამ დროისთვის უკვე კარგად უნდა იცოდნენ; ხოლო საკუთრივ სამნიშნა რიცხვისთვის ოცეულები აღარაა არსებითი.

15. შემდეგთაგან რომელი საგაკვეთილო თემისთვისაა ყველაზე შესაფერისი ეს ორი მოცემული მაგალითი?

$$\begin{array}{r} 1 \cdot 1000 + 2 \cdot 100 + 1 \cdot 10 + 3 = 1213 \\ \text{ათას} \quad \text{ორას} \quad \text{ცამეტი} \\ 2 \cdot 1000 + 1 \cdot 100 + 4 \cdot 10 + 6 = 2146 \\ \text{ორი ათას} \quad \text{ას} \quad \text{ორმცდეკვიცი} \end{array}$$

- ა) რაოდენობის სახელწოდება 999-ის ფარგლებში.
- ბ) შეკრება 1000-ის ფარგლებში.
- გ) რაოდენობის სახელწოდება 9999-ის ფარგლებში.
- დ) შეკრება 10000-ის ფარგლებში.
- ე) გამოკლება 10000-ის ფარგლებში.
- ვ) გამოკლება 1000-ის ფარგლებში.

სწორი პასუხი - გ

16. ვთქვათ, იმავე, ნინისინა ამოცანის განხილული ორი მაგალითი არის ერთი მაგალითის შემადგენელი ნაწილები და თან დახაზულია ერთმანეთის ზემოთ-ქვემოთ, იმ ვითარებაში რომელი იქნებოდა მართებული პასუხი?

სწორი პასუხი - დ

17. შემდეგთაგან რომელი არაა იმავე ამოცანაში ნაგულისხმევი აქტივობის მისაღწევი შედეგი?

- ა) მრავალნიშნა რიცხვის ქართული სახელწოდების ანალიზი;
- ბ) მრავალნიშნა რიცხვის სახელწოდების ნაწილებისგან რიცხვის სახელწოდების სინთეზი;
- გ) მრავალნიშნა რიცხვის აგებულების გააზრება;
- დ) მრავალნიშნა რიცხვის ციფრული ჩანანერის უნარ-ჩვევათა განმტკიცება;
- ე) რიცხვების პოზიციურ-თანრიგობრივი ჩანანერების ცოდნის განმტკიცება (ამ ტერმინების გარეშე);
- ვ) რიცხვთა ნუმერაციის პოზიციურ-თანრიგობრივი სისტემის ცნების გააზრება.


სწორი პასუხი - გ

18. ნინარე ამოცანებში განხილულის მსგავსი თვალსაჩინოება შემდეგთაგან რომელ ფარგლებშია უფარგისი? - აარჩიეთ უმცირესი ასეთი ფარგლები:

- ა) 10-ისა; ბ) 20-ისა; გ) 99-ისა; დ) 100-ისა;
- ე) 1000-ისა; ვ) 10000-ისა; ზ) 10000-ისა.

სწორი პასუხი - გ

19. დომინოსები სქემების გამოყენება ძალიან ნაყოფიერია თემისთვის „შეკრება-გამოკლების უცნობი კომპონენტის მოძებნა“. მისი საშუალებით შემდეგთაგან რამდენი საკითხი



შეიძლება გავათვალსაჩინოოთ?

- ერთ-ერთი შესაკრები ტოლია ჯამს გამოკლებული მეორე შესაკრები.
- სხვაობას მიმატებული მაკლები ტოლია საკლებისა.
- საკლებს გამოკლებული სხვაობა ტოლია მაკლებისა.
- ერთ-ერთი შესაკრები 3, ჯამი კი 8-ის ტოლია. რის ტოლია მეორე შესაკრები?
- ერთი შესაკრები 3, მეორე - 5. რის ტოლია ჯამი?
- საკლები 8, მაკლები - 5. რის ტოლია სხვაობა?
- საკლები 8, სხვაობა - 3. რის ტოლია მაკლები?
- სხვაობა 5, მაკლები - 3. რის ტოლია საკლები?

- ა) 8; ბ) 7; გ) 2; დ) 3; ე) 1; ვ) 5; ზ) 6; თ) 4.

სწორი პასუხი - ა

20. შემდეგთაგან რით ჯობია I კლასში ერთნიშნა რიცხვის წარმოდგენა „დომინოსებურად“, ვიდრე მისი ჩანანერა მარტივად - ციფრულად?


I. „დომინოსებურ“ წარმოდგენაში, ციფრულისგან განსხვავებით, თვალსაჩინოა და გამოკვეთილია რიცხვის რაოდენობრივი არსი, რაც მათმატიკურადაც მთავარია;

II. „დომინოსებური“ გროვებით ადვილია და თვალსაჩინოა დიდი რაოდენობის დათვლა სხვადასხვა სათვლელი ფუძით (წყვილებად, სამეულად, ოთხეულად და სხვ.);

III. „დომინოსებური“ განლაგებით უკეთესად ჩანს ქართული რიცხვითი სახელების თავისებურება - ოცობითობა.

- მხოლოდ: ა) III; ბ) II; გ) I, II; დ) II, III;
- ე) I, III; ვ) I; ზ) არც ერთი; თ) სამივე.

სწორი პასუხი - გ





სპორტი

# საბავშვო ძიუდო საქართველოში

ქართულ ძიუდოში მორიგი ნოვაციური პროექტი დაიწყო, რომელიც სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე ვრცელდება. ესაა ძიუდოს მარტივი ანბანის შემსწავლელი პროექტი „judokids“, რომელიც განკუთვნილია 3-6 წლის ბავშვებისთვის. ის ითვალისწინებს ისეთი უნარ-ჩვევების გამოშუქებას, როგორცაა მოსმენა, გუნდური მუშაობა, ურთიერთპატივისცემა, ბავშვები სწავლობენ სწორად მოძრაობას, კოორდინაციას, ხოხვას, ცოცვას, ხტომას, სწორად დაცემასაც კი, რათა თავიდან აიცილონ ტრავმები ილეეთების შესრულებისას. ამასთან, ხელს უწყობს ბავშვების გაკაჟებას, სულიერად გაძლიერებას, რადგან სწავლობენ საკუთარი ემოციის მართვას, ძიუდო ეხმარება კუნთებს ჩამოყალიბებაში, ავითარებს კოორდინაციას, ეს ყველაფერი კი ხდება არა პროფესიული სპორტის მეთოდებით, არამედ თამაშის, გაართობის ფორმით. სწორედ ამიტომ პროექტმა ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია – უკვე ორი გაკვეთილი ჩატარდა, მაგრამ მსურველთა რაოდენობა სულ უფრო იზრდება. მეცადინეობები კვირაში ერთხელ – ხუთშაბათობით იმართება ძიუდოს აკადემიაში და ფედერაცია იძულებული გახდა, მსურველები ორ ნაწილად გაეყო – 3-4 წლის ბავშვებს ცალკე ავარჯიშებენ, 5-6 წლისებს – ცალკე.

პროექტის იდეა ძიუდოს მწვრთნელ გიორგი გვიჩიანს ეკუთვნის, ვინც წლების განმავლობაში ცხოვრობდა პოლანდიაში და იქ ახორციელებდა ანალოგიურ პროექტს. აქვე გეტყვით, რომ ევროპაში ამგვარი მიდგომა კარგადაა ა-



რობირებული და გვიჩიანმა იქაური მოდელი საქართველოს ძიუდოს ფედერაციას შესთავაზა. ბუნებრივია, სიაზოვნებით დათანხმდნენ, რადგან ფედერაცია ბევრს აკეთებს ძიუდოს პოპულარიზაციის, მასობრიობის გაზრდისთვის და განსაკუთრებით – ბავშვების მოსაზიდად. ეს პროექტიც ამას ითვალისწინებს და ამიტომ შეხების წერტილები თავისთავად მოიძებნა.

პროექტმა საქართველოში პირველი ნაბიჯები, ცოტა ხნის წინ, პანკისის ხეობაში გადადგა, სადაც გვიჩიანმა პირველი ვაკუუმი ჩამოაყალიბა. ახლა ამ იდეამ დედაქალაქშიც გადმო-

ნაცვლა, თუმცა ძიუდოს ფედერაცია და პროექტის ავტორი ამაზე გაჩერებას არ აპირებენ – განზრახულია, რომ თანდათან მოიცვან რეგიონები და რაც შეიძლება მეტი ბავშვი ჩართონ, შევიდნენ საბავშვო ბალებშიც.

საბედნიეროდ, ახალმა და უჩვეულო პროექტმა დიდი ინტერესი გამოიწვია, რაზეც მონაწილეთა მზარდი რაოდენობაც მიუთითებს. გავრცელებული ხმებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრიც დაინტერესდა, რომელიც ერთ-ერთ უახლოეს ვარჯიშზე დასწრებასაც კი აპირებს.

# რეკორდსმენი ჩემპიონის ოჯახიდან

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, 19 წლის ნიჭიერმა ტყვიის მსროლელმა, **ცოტნე მაჭავარიანმა** მორიგ წარმატებას მიაღწია – მიუნხენში ჩატარებულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, საკუთარი რეკორდი კვლავ გაზარდა, ამჯერად – 3 ქულით და ეს მაჩვენებელი 583-მდე აიყვანა. თუმცა ეს არაა მაჭავარიანის ერთადერთი მიღწევა გერმანიაში, რადგან პირველ დღეს ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. ოღონდ მაშინ ასე შთაბეჭედავად არ უსვრია – 575 ქულა დააგროვა. აი, რეკორდი კი მეორე შეჯიბრებაში დაამყარა, სადაც ფინალში მეორე შედეგით შევიდა, მაგრამ საბოლოოდ მეექვსეზე დარჩა.

ეს ტურნირი, ამავე დისტანციაზე, ევროპის ჩემპიონატისთვის (ის მარტში იმართება სლოვენიაში მარიბორში) მხოლოდ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ტარდება, მაგრამ – ორჯერ, რათა მსროლელებს მეტი სატურნირო პრაქტიკა ჰქონდეთ. სწორედ ამიტომ გავიდა მაჭავარიანი ორჯერ საასპარეზოდ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი 7-კაციანი გუნდიდან ფინალში მხოლოდ ცოტნე შევიდა. არადა, მიუნხენში მისი სახელოვანი დედა, ევროპის სამგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძეც** გამოდიოდა და ის ახალგაზრდებიც, რომლებმაც ბოლო 2-3 წელიწადში ევროპის პირველობაზე გუნდურსა თუ პირადად მედლები მოიპოვეს.

კარგა ხანია, მაჭავარიანის ყველა მიღწევა, პარალელურად, საქართველოს რეკორდია და ასეა ამ შემთხვევაშიც. ოღონდ ახლანდელი შედეგი უკვე ის მიჯნაა, რომ თავისუფლად შეუძლია არათუ ახალგაზრდებში, არამედ უფროსებშიც კი ნებისმიერ ტურნირზე მოიპოვოს მედალი. თუმცა მან უფროსებში უკვე მოიპოვა ერთი მეტად ღირებული წარმატება – პარშან ევროპის ჩემპიონატზე



მექვესეზე გავიდა და რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა, რითაც ქართული თუ მსოფლიო ოლიმპიზმის ისტორია დაწერა – საქართველოსთვის ხომ უჩვეულოა ოჯახური და დედა-შვილური დუეტები ოლიმპიადებზე. ამ თამაშების საუკუნეზე უფრო ხანგრძლივ ისტორიაში პირველად მოხდა, როცა დედა ვაჟიშვილთან ერთად იასპარეზებდა ოლიმპიადებზე (დედა და გოგონები ორჯერ ყოფილან შორეულ წლებში, მამა-შვილების ისტორია კი გაცილებით მრავალრიცხოვანია). ისიც თვალშისაცემია, რომ მაჭავარიანი თანდათან უმატებს შედეგს და ყველა პირობა არსებობს, ვიფიქროთ – ოლიმპიური ჩემპიონის ოჯახში მომავლის დიდი ჩემპიონი იზრდება. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ დედა-შვილის მწვრთნელი მათი მამა და ბაბუაა – **ვახტანგ სალუქვაძე**.

მიუნხენში ახალგაზრდების ტურნირში კიდევ რამდენიმე ჩვენივენი გამოდიოდა. ბიჭებში მაჭავარიანის მხარდამხარ თბილისელები – **იონანე ჭანკოტაძე** და მაჭავარიანის მსგავსად, ახალგაზრდებში ევროპის გუნდური პირველობის მესამე პრიზიორი **აკაკი მოსულიშვილიც** გამოდიოდნენ, გოგონებში კი ქუთაისური დუეტი იბრძოდა – 1 საჯარო სკოლის მოსწავლე **ლიზა კილაძე** და 23-ე სკოლის მოსწავლე, ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ნინო ხუციბერიძე**. სამწუხაროდ, მათ ვერც წარმატებები მოიპოვეს და ფინალშიც ვერ გავიდნენ, მეტიც – საკუთარი მაჩვენებლებიც ვერ გაიმეორეს. თუმცა ჭანკოტაძეს მაინც არა უშავდა, რადგან პირველად გამოდიოდა ამ რანგის შეჯიბრებაზე და შედარებით სტაბილურად ისროლა. ხუციბერიძემ ერთ ვარჯიშში 373 ქულა დააგროვა, რაც არცთუ ურიგო შედეგია. აი, კილაძეს კი ბევრად მეტი შეუძლია, რადგან მისი რეკორდი 386 ქულაა, მართლაც დიდოსტატური მაჩვენებელი, ხოლო გერმანიაში 370-ს ვერ ასცდა.

წლეულს ამ ახალგაზრდებიდან კილაძე, ხუციბერიძე და მოსულიშვილი მსოფლიოს მეორე ახალგაზრდული ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად იბრძობებენ, რომელიც გაისად არგენტინაში ჩატარდება. რეალურად, იქ მოხვედრა სამივეს შეუძლია, თუმცა ვნახოთ, ვინ როგორ გამოიყენებს ამ შანსს. გვაიმედებს ისიც, რომ ჩვენი ფედერაცია მიმდინარე სეზონში აქცენტს სწორედ ახალგაზრდულ ნაკრებზე აკეთებს, რათა მაქსიმალურად დაეხმაროს მათ არგენტინის ლიცენზიების მოპოვებაში.

# იბერიტმა მეტალოსნები დაახარისხა



ქუთაისში, მაია ჩიბურდანიძის სახელობის საჭადრაკო სკოლაში დამთავრდა იბერიტის ასაკობრივი ჩემპიონატი 7, 10 და 14-წლამდელ მოჭადრაკეთა შორის. ყველაზე უმცროსებში – 7-წლამდელ გოგონებში 7 ქულით ყველას აჯობა **თეკლა კოლუაშვილმა**. 6 დააგროვა **ანა კიტაძემ**, ხოლო ბრინჯაო **არაგვის დაუთომო ბექა წვერავამ**, ვინც ყველა – 9-ვე შეხვედრა მოიგო, ვერცხლი **ლუკა ქოიავამ** დაისაკუთრა 7-ით, ხოლო ბრინჯაო – **ალექსი ლოლუამ** 6.5-ით.

10-წლამდელ გოგონებში **ბარბარე ცირეკიძე** გაიმარჯვა 8 ქულით. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა **ვერონიკა ტყეშელაშვილი**, მესამეზე კი 6.5-ით **მარიამ გოთოშია** გავიდა. ბიჭებში **დავით ნემსაძემ** იყოჩაღა – 9 ქულა, მომდევნო ადგილები კი **ლადო მაღლაკელიძემ** (7.5) და **მიხეილ ხანთაძემ** (7) დაისაკუთრეს.

14-წლიან გოგონებში ადგილები ასე განაწილდა: **თამარ ესაძე** – 9 ქულა, **ნია დონღვანი** – 7.5, **რუსუდან მაღლაკელიძე** – 6.5 ქულა. ბიჭებში **დავით ცქიფურაშვილმა** გაიმარჯვა 7.5 ქულით, ვერცხლის მედლისთვის კი დამატებითი კოეფიციენტების მოშველიება გახდა საჭირო, რადგან **ჯაბა ადამიამ** და **აკაკი ლაჭავამ** 7-7 ქულით დაასრულეს ასპარეზობა, თუმცა მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი ადამიას გადაეცა, ლაჭავა კი ბრინჯაოს დასჯერდა.

რუბრიკას უძღვება  
ირაკლი თაბაძე





სასკოლო აქტივობა

ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“

ქართველებს ორი მთავარი წიგნი გვაქვს – „ბიბლია“ და „ვეფხისტყაოსანი“.

2016 წელი შოთა რუსთაველის საიუბილეო წელი იყო. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლიყვის საჯარო სკოლამ (დირექტორი – ქეთინო ლურსმანაშვილი) მოკრძალებულად ჩაატარა შოთა რუსთაველის 850 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო: „ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“.

ქალბატონმა ქეთინომ ისაუბრა „ვეფხისტყაოსანის“ ზნეობრივ ღირებულებებზე და აღნიშნა, რომ ჩვენი ერისთვის რუსთაველის იუბილის აღნიშვნა უმნიშვნელოვანესია.

საინტერესო იყო მესხეთის მადლიან მინაზე გაზრდილი პედაგოგის, ციცინო ბუცხრიკიძის გამოცხადება, რომელმაც შოთა რუსთაველის გენიალურობაზე ისაუბრა.

სკოლებს შორის გაიმართა კონკურსი შემდეგ ნომინაციებში:

1. „საუკეთესო კალიგრაფიული ნამუშევარი“ – I ადგილი დაიკავა ვაშლიყვის საჯარო სკოლის მოსწავლემ, ბარბარა ბარბაქაძემ, II – გვანცა

ბლიაძემ, გედსამანიის საჯარო სკოლა;

2. „ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“ – I ადგილი დაიკავა ელენე მუმლაძემ (ხუნევის საჯარო სკოლა), II ადგილი – ლია ბარბაქაძემ (ვაშლიყვის საჯარო სკოლა);

3. „რუსთაველის აფორიზმები“ – I ადგილი დაიკავა გორა ლომიძემ (ხუნევის საჯარო სკოლა), II ადგილი – რუსუდან ლურსმანაშვილმა (უბისის საჯარო სკოლა);

4. „საუკეთესო ნახატი“ – I ადგილი დაიკავა გიორგი მაჭარაშვილმა (ვაშლიყვის საჯარო სკოლა), II – ლუკა ლომიძემ (ხუნევის საჯარო სკოლა).

კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილემ, პირველკლასელმა შოთა წიქარიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საკონკურსო ნომინაციებში, რისთვისაც დაჯილდოვდა სიგელით.

საღამოს ესწრებოდნენ მშობლები, მეზობელი სკოლების პედაგოგები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

დირექტორმა აქტიური მონაწილეობისათვის მადლობა გადაუხადა ვაშლიყვის საჯარო სკოლის ყველა პედაგოგს, უბისისა და ხუნევის სკოლის დირექტორებს – მარინა სახვაძეს და ვეფხია ლომიძეს, პედაგოგებს – ირმა მუმლაძეს, ნანული ჩადუნელს, ხათუნა ყაზიშვილს, მანანა სახვაძეს.

მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები. დამსწრე საზოგადოებამ ღონისძიება წარმატებულად შეაფასა.

ნანული ჩადუნელი, ხუნევის საჯარო სკოლა: „სიაზოვნებით გამოვცხადებთ ინიციატივას, მოსწავლეები აქტიურად ემზადებოდნენ. ხატავდნენ, სწავლობდნენ საზეპიროებს, აფორიზმებს. აქ მოსულებს სასიამოვნო გარემო დაგვხვდა, კონკურსის მონაწილეებმა თავდაჯერებულად წარმოაჩინეს შოთა რუსთაველის გენიალური პოემიდან საზეპიროები. მადლობა მასპინძელ სკოლას ასეთი კარგი ღონისძიების ორგანიზებისათვის“.

მანანა სახვაძე, უბისის საჯარო სკოლა: „ამ პროექტის მონაწილეებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს, კიდევ ერთხელ დაინახეს ეპოქის კულტურული ღირებულებები, გაიღრმავეს ცოდნა „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ.



„ვეფხისტყაოსანი“ დაუშრეტელი წყაროა სიბრძნისა, ის გვახლოებს ღმერთთან, გვაკავშირებს წარსულთან, საფუძველს უქმნის ჩვენს ბედნიერ მომავალს.“

მყოფს – ნამალი, ხეიბარს – ყავარჯენი, მეომარს – იარალი და მწერალს – ქართული სიტყვის თვალმარგალიტით სავსე, აუნწონელი საუნჯე და სალარო“.

ქეთინა გომოლაძე ვაშლიყვის საჯარო სკოლის პედაგოგი



ინფორმაცია

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრების სწავლის ხელშეწყობისა და ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა



პროგრამის მიზანია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრების სტუდენტების სწავლის ხელშეწყობა და ფინანსური მხარდაჭერა.

სტუდენტების დასაფინანსებლად, 2016-2017 სასწავლო წელს, დაახლოებით, 1 800 000 ლარი დაიხარჯება.

სამუშაო შეხვედრები ელჩებთან

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა ფინეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს არია მაკონენს შეხვდა, განათლებისა და მეცნიერების მიმართული საქართველოში არსებული ვითარება და სამომავლო გეგმები გააცნო.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ზეჰი ლევენთ გუმრუქჩუს შეხვდა.



სკოლა ალტურული იქნება: სპორტული და სააქტო დარბაზებით; თანამედროვე და მრავალ ფუნქციური ლაბორატორიით;

პროექტი ხორციელდება ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტის დაფინანსებით;



მასწავლებლის საშუალო რეპული



მასწავლებლის საშუალო რეპული უორტფორმის განუყოფელი ნაწილია...

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებითი კლასებში



ნიუნის თანამშრომელი დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური წიგნების მეთოდების გამოყენებით შექმნილი...

კათედრის გაგების პორტფოლიო



კათედრის გაგების პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გაგებას ალრიცხოს...

ინტერაქტიური მეთოდების კრებული



კრებულში აღწერილია ინტერაქტიური სწავლების მეთოდები...

მასწავლებლის კალენდარი



კალენდარი ისაა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია დაგეგმოს...

სწოგარი დაწყებითი კლასების კვლევა



სწოგარი დაწყებითი კლასების კვლევა დაგეგმვისთვის მოგზადად დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით...

მოვაფალოთ საბავსბათო გაოცდაბისთვის

კრებულში შეტანილია უროგონათ მათემატიკისთვის თორობილი მასალა და ბავსბათი...



ქართული ენის კრებულები: კართო, ქართული ენა, ნამდლი და მოგონილი ამბები

ნაშრობი და მოგონილი ამბები: კართო, ქართული ენა, ნამდლი და მოგონილი ამბები

კრებულში შეტანილია უროგონათ მათემატიკისთვის თორობილი მასალა და ბავსბათი

ფიზიკა: საბავსბათო გაოცდაბისთვის

ქართული ენის ბრავბატიკა: სინტაქსი

ქართული ენის ბრავბატიკა: მორფოლოგია

1, 2: ქართული ენის ბრავბატიკა

4: თამბბ ვბბბბბ მართული აბოგბრავბოული ბრავბატიკის ბრავბატიკის ბრავბატიკის

ბიოლოგია: ბიოლოგია

9: ისტორია

ბელგორის თანბბ ბადგორისბბბბ რაკვიზიტბბბბ: ბიგბბბ - ბბბ „ბბბბ ბბბბბბბბბ“, ს/კ 202058735...

ბბბბბ ბბბბბბბბბ: ბბბბბ ბბბბბბბბბ

ბბბბბბბბ: 0102 ბბბბბბ, ბბბბბბბბბბბბ ბ. ბბბ ბბბბ: 032 295 80 23, 599 888073

ISSN 2233-386X